ეროვნული ბიბლიოთეკა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.org.ge/lelo

# ლელო

№ 58 (11 515)

27 – 30 ივლისი, 2001 წ.

ფასი 40 თეთრი

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

## ვაშა, ძიუდოისტებს! ვაშა, გოგი თოფაძეს!

*„ლელო“ უკვე იუწყებოდა ესპანეთის ქალაქ მურსიაში ევროპის ქვეყნების ახალგაზრდულ სპორტულ თამაშებში საქართველოს სპორტსმენთა წარმატებული სტარტის შესახებ. პირველ დღესვე ძიუდოისტებმა ლაშა გუჯეჯიანმა (+90 კგ) ოქროს მედალი მოიპოვა, თედორე აბულაშვილმა (90) – ბრინჯაოსი. ეს კარგი სტიმული გამოდგა დანარჩენი თანაგუნდელებისათვის და ჩვენი ბიჭები ერთმანეთის მიყოლებით, თამაშების კიდევ სამ ოქროს მედალს დაეუფლნენ. ესენი არიან გრიგოლ სინჯიკაშვილი (73), ჯარჯი ზვიადაური (81) და მინდია ხომეზური (60).*

*მძლეოსნობაში, კერძოდ, ბირთვის კვრაში, მესამე საპრიზო ადგილზე გავიდა ზურაბ გეგია, რომლის შედეგია 18 მ. და 63 სმ. ალსანიშნავია, რომ ბოლო 13 წელიწადია საქართველოდან მძლეოსნობაში საერთაშორისო სარბიელზე ასეთი წარმატებისთვის არავის მიუღწევია. ნავსი თარსი ციფრით გატყდა.*

*ჩოგბურთში ჩვენი შერეული წყვილი ლადო ჩიხლაძე – ნანა უროტაძე, გუშინ, ბრინჯაოს მედლისთვის იტალიელებს შეეცილებოდნენ. შეგახსენებთ, რომ თამაშებზე მხოლოდ 14 ქართველი ახალგაზრდა სპორტსმენი გაემგზავრა ქართული სპორტის ჭეშმარიტი მეგობრის და მარად ერთგული თანამდგომის გოგი თოფაძის ფინანსური მხარდაჭერით.*

## ბრინჯაოს მედალოსანი „დინამო“

გერმანიის საწვრთნელი შეკრებიდან დაბრუნებულ თბილისის „დინამოს“ მესვეურებმა ახალი ჩემპიონატის დაწყებამდე, ჩემპიონს და ვერცხლის პრიზიორს დაასწრეს და ეროვნული სტადიონის საპრესკონფერენციო დარბაზში გუნდს შარშანდელ ჩემპიონატში მესამე ადგილის აღსანიშნავი ბრინჯაოს მედლებით დაჯილდოების ცერემონია გაუმართეს. კლუბის ფეხბურთელებს და ადმინისტრაციულ მუშაკებს 25 ბრინჯაოს მედალი გადასცა სფფ-ს საშეჯიბრო კომიტეტის თავმჯდომარემ გია ფირცხალავამ. კლუბის პრეზიდენტი რევაზ არველაძე და ახალი მთავარი მწვრთნელი გივი ნოდია მიიჩნევენ, რომ შარშანდელი მესამე ადგილი გუნდის მომავალი ოსტატობის დახვეწისა და შთამბეჭდავი გამარჯვებების საწინდარი უნდა გახდეს.

როგორც ჩანს, „დინამო“ ახალ ჩემპიონატში მხოლოდ პირველობისთვის იბრძოლებს. ახლანდელი მედლების გადაცემის მოკრძალებული ცერემონია კი უფრო მასშტაბურით, ბრინჯაოს მედლები — ოქროთი შეიცვლება.




*მექსიკა — ურუგვაი*

COPA AMERICA
COLOMBIA 2001

კოპა ამერიკა 6





*მარცხენა ფოტოზე – ბრინჯაოს მედალოსანი თბილისის „დინამო“; მარჯვნივ –საქართველოს XII ეროვნული ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელს და ბომბარდირს ზაზა ზირაქიშვილს ბრინჯაოს მედალს გადასცემს. სფფ-ს საშეჯიბრო კომიტეტის თავმჯდომარე გია ფირცხალავა (ელდარ მალხაზიშვილის ფოტოები).*

## ქართულ სპორტს ახალი სტიმული ეძლევა

ქართული სპორტი დღეს იმ გაჭირვებულ ადამიანს ჰგავს ჯიბეში რომ თითქმის არაფერი გააჩნია, მაგრამ რწმენით და სიყვარულით ემსახურება თავის საქმეს. ქართულ სპორტსო — კრებსით ვამბობთ, თორემ სპორტის ცალკეული სახეობებიც იგულისხმება განზოგადებით. ცხადია, არც მოჭიდავეებს ულხინთ, მაგრამ თუკი ვინმეზე თავდადება ითქმის, უპირველესად ფალავნები უნდა ვიგულისხმოთ. წლეულს, განვლილ 6 თვეში მათ იმდენი მედლები მოიპოვეს, მართლა დაგვიბრუნეს სიამაყის განცდა და იმის რწენა, რომ სასახელო ტრადიციები აღდგება. ამ წარმატებებში დიდია სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის, ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის, თვით ჭიდაობის ფედერაციის, თბილისის მერიის სპორტის, სკოლისგარეშე ფიზიკური აღზრდისა და ტურიზმის საქალაქო სამსახურის და საქართველოს გადამხდელთა კავშირის ხელშეწყობა. სწორედ მათ, გუშინ, ერთობლივად შეაჯამეს ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის მიერ 2001 წლის განვლილ ექვს თვეში გაწეული მუშაობის შედეგები.

თავისთავად თვით ფაქტია მისასალმებელი. ეს იყო პირველი შემთხვევა, როცა დაინტერესებული და თანამდგომი მხარეები ერთად იკრიბებიან ქართული სპორტის, ამ შემთხვევაში ჭიდაობის ინტერესებთან დაკავშირებით. უდავოა, ასეთი თანამშრომლობა მეტ სიკეთეს მოიტანს.

შეხვედრაზე, მათი შრომის დასაფასებლად, ჯილდოები გადასცეს მოწინავე სპორტსმენებს და მათ მწვრთნელებს.




18
UEFA
UNDER-18
Championship

იუნიორთა ევროპის ჩემპიონატი 6



*ბურთთანაა ბარქაია*

## დაუვიწყარი შეხვედრა ფეხბურთის დიდოსტატთან 5

## გაზეთის დაბეჭდვის წინ:

### ნორვეგია საუკეთესო მძლეოსანს დაემშვიდობა

ნორვეგიის საუკეთესო შუბის მტყორცნელი პალ არნე ფაგერნესი ქვეყნის ეროვნული ნაკრების შემადგენლობიდან გამოიყვანეს და არ წავა მსოფლიო ჩემპიონატზე, რომელიც აგვისტოს დასაწყისში გაიმართება კანადის ქალაქ ედმონტონში.

ცნობილი სპორტსმენის დასჯის მიზეზი ალკოჰოლისადმი გადაჭარბებული მიდრეკილება გახდა. არადა, იგი ოქროს მედლის ნაღდი კანდიდატი იყო.

### ამხილეს დოპინგის გამოყენებაში

მსოფლიოში საუკეთესო ველომრბოლი, ავსტრალიელი ანნა მილოურდი მხილებულია დოპინგის გამოყენებაში. ამის შესახებ გუშინ განაცხადა ქვეყნის ნაკრების მწვრთნელმა.

UEFA CHAMPIONS LEAGUE

ჩემპიონთა ლიგა




4

*დეკომ ჰეთ-თრიკი შეასრულა*

## დიმიტრი მინდიაშვილი წავიდა



*რუსეთის თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა მთავარი მწვრთნელი დიმიტრი მინდიაშვილი თანამდებობიდან გადადგა. როგორც ცნობილი გახდა, გადადგა უხმაუროდ, უპრეტენზიოდ. გუშინ რუსეთის პრესამ ლამის გამოიგლოვა, მათივე სიტყვებით, რომ ვთქვათ, უდიდესი მწვრთნელი, თუნდაც იმიტომ რომ აღზარდა ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი იარიგინი. რა მოხდა? ამის შესახებ არავინ არაფერი იცის, დუმს თავად მინდიაშვილიც. ვითომ ეროვნული საკითხია? ჩვენ არაფერს ვამტკიცებთ, მაგრამ ინტერნეტში მინდიაშვილის წასვლის თაობაზე გავრცელებულ ინფორმაციას რომ რუბრიკა „ეროვნული საკითხი“ ახლავს, რაღაც ეჭვს ბადებს. თანაც მინდიაშვილის დროებით შემცვლელად. არც თუ შორეულ წარსულში ცნობილი მოჭიდავე ჯამბულატ თედეევი დაინიშნა.*

*როგორც იუწყებიან, მინდიაშვილი კრასნოიარსკში დარჩება მოჭიდავეთა სკოლის დირექტორად, ჯერჯერობით იგი რუსეთის სპორტული ჭიდაობის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტიცაა.*

ATHENS 2004
CANDIDATE CITY

მომავალ ოლიმპიურ თამაშებამდე 3 წელიწადი და 1 თვე დარჩა

SALT LAKE 2002

ზამთრის XIX ოლიმპიურ თამაშებს 200 დღე გვაშორებს

8–24 თებერვალი 2002 წ.

# დანიაში სკოლის ბიუჯეტის სახსრებით

30 ივლისს დანიის ქალაქი ოდენსი ბატუტზე ხტომებში და სპორტულ აკრობატიკაში ასაკობრივ მსოფლიო პირველობას უმასპინძლებს. ამჯერად გამოინახა შესაძლებლობა და თბილისის მერიის სპორტის, კლასგარეშე ფიზიკური აღზრდისა და ტურიზმის საქალაქო სამსახურის ტანვარჯიშულ სახეობათა სპორტსკოლის აღსაზრდელები იასპარეზებენ ოდენსში ამავე სკოლის ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრებით.

– შეჯიბრებებზე გამგზავრების წინ გულთბილი შეხვედრა მოგვიწყვეს თბილისის მერიის საქალაქო სამსახურში, წარმატება გვისურვა ამ სამსახურის უფროსმა დავით ჭელიძემ – უთხრა „ლელოს" კორესპონდენტს სპორტსკოლის დირექტორმა როზა ბერიკაშვილმა, რომელიც პირველობაზე თავადაც მიემგზავრება, როგორც მიწვეული მსაჯი.

ბატუტისტთა შორის 11-12 წლიანებში იასპარეზებს 11 წლის ლუბა გოლოვინა, 15-16 წლიანებში – 15 წლის თენგიზ კოშკაძე, 17-წლიანებში – ამავე ასაკის სოფიკო გულიაშვილი, აკრობატთა შორის კი 10 წლის გიორგი ექიზაშვილს თავისზე 1-2 წლით უფროსებთან მოუწევს ასპარეზობა. გუნდს ახლავს მწვრთნელები გ. ძუკაევი და ვ. ჩხაბერიძე.

ც. ბაქრაძე

# თბილისი – ობლებს!

აფხაზეთის ომში დაღუპულთა ოჯახების ბავშვები თბილისის მერიის სპორტის, სკოლისგარეშე ფიზიკური აღზრდისა და ტურიზმის საქალაქო სამსახურმა (უფროსი დავით ჭელიძე) 10 დღით დასასვენებლად ცემში წაიყვანა. 35 მოზარდს ამ ხნის განმავლობაში უზრუნველყოფენ საცხოვრებლით, სამჯერადი კვებით, აქტიური გართობა-დასვენების პროგრამაში კი ძირითადი ადგილი დაეთმობა ტურისტულ ლაშქრობებს სპორტულ და სახალისო შეჯიბრებებს. ბავშვებს ცემში ხსენებულმა საქალაქო სამსახურმა ნაჩუქარი სპორტული ინვენტარიც გაატანა.



*ეს სურათი, რომელიც ცემში ბავშვების ჩასვლისანავე გადაღებული, რედაქციას ფოტორეპორტიორმა ანზორ კოპლატაძემ მოაწოდა.*

# ქობულეთელები არ თმობენ

აჭარის რესპუბლიკის ველოსიპედისტები კვლავინდებურად ინარჩუნებენ წამყვან პოზიციებს და წარმატებით ასპარეზობენ საქართველოსა და საერთაშორისო შეჯიბრებებში (აჭარის ფედერაციის პრეზიდენტი რ. ცეცხლაძე, უფროსი მწვრთნელი — საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი ნ. ზოლოტარიოვი. შარშან ქვეყნის ჩემპიონის წოდება მოიპოვეს — ლევან მესხიძემ, ჭაბუკთა შორის — ბესიკ მიქელაძემ. წლეულს ქ. თბილისში გამართულ საქართველოს მოსწავლეთა სპორტულ თამაშებში, აჭარის ნაკრები, რომელიც მთლიანად დაკომპლექტებული იყო ქობულეთის ველომრბოლელებით („შევარდენი"), გუნდურ ჩათვლაში მეორე ადგილზე გავიდა — მოიპოვეს ორი ოქროსა და ერთი ბრინჯაოს მედალი.

წარმატებით ასპარეზობენ ქობულეთელი სპორტსმენები საერთაშორისო შეჯიბრებებშიც. 19-22 ივლისს ქობულეთსა და ქ. ბათუმში გაიმართა საერთაშორისო ტურნირი აჭარის, თბილისის, ქუთაისის, აგრეთვე სომხეთის (ქ. ერევანი) მრბოლების მონაწილეობით. პროლოგში ყველას აჯობა ქობულეთელმა თენგიზ თავბერიძემ, მეორე ადგილზე გავიდა ვაჟა ვაშაყმაძე, მესამეზე — ირაკლი მანაგაძე (თბილისი). ინდივიდუალურ რბოლაში 75 კმ-ზე უძლიერესი იყო ბესიკ მიქელაძე, მანვე გაიმარჯვა ბათუმის კრიტერიუმში. საერთო ჩათვლაში უძლიერესის სახელი მოიპოვა ბესიკ მიქელაძემ. მეორე იყო თენგიზ თავბერიძე, მესამე — თბილისელი ირაკლი მანაგაძე.

შეჯიბრებას სპონსორობა გაუწია ველოსპორტსერვისის მაღაზია „ჩემპიონმა" (დირექტორი მალხაზ დიასამიძე). ამავე მაღაზიის მიერ დაწესებული პრიზები გადაეცა გამარჯვებულ ველომრბოლებს.

ნიკოლოზ ბარამიძე,
ქობულეთი.

მკურნალობის სიახლენი
№5.
27.VII – 2.VIII 2001

დღეს გამოვიდა „ლელოს" ახალი ყოველკვირეული დამატება „მკურნალობის სიახლენი"
იმოგზაურეთ თანამედროვე მედიცინის სამყაროში, გაეცანით XXI საუკუნის მიღწევებს, მკურნალობის ტრადიციულ მეთოდებს. მოიკითხეთ და იკითხეთ „მკურნალობის სიახლენი"! — მორიგი, მე-5 ნომერი.

# თანამედროვე ფალავანთა ძახილი

**„საიდან დაგვჩემდა ეს საუბედურო თვისება? რამ გადააჩვია ჩვენი ჭკუა და გონება საყოველთაო საქმეს, რამ დაგვიბა ჩვენი თვალი და ყური მასზედ, რასაც „ჩემობის" ფერი ადევს და არა „ჩვენობისა"? ჩვენს ისტორიას რომ შევხედოთ, მაგის „მიზეზს" ვერ ვიპოვით. ერთ წუთს რომ ჩვენი თვალი და ყური მარტო „ჩემობაზედ" გაჩერებულიყო და „ჩვენობა" დავიწყებას მისცემოდა, მაშინვე სულს გავაფრთხობდით და ჩვენი ერი მტვერსავით ალიგვებოდა დედამიწის ზურგიდამ..." *(ილია).***



ამ წერილში მინდა ისეთ მტკივნეულ საკითხს შევეხო, რომელსაც „თანამედროვე ფალავანთა ძახილი" ვუწოდე. რა ძახილზეა ლაპარაკი?

საქართველოსათვის ამ უმძიმეს პერიოდში „ჩვენობის" მაგივრად „ჩემობის" სენით შეპყრობილმა ბევრმა ჩვენმა თანამემამულემ თავისი ეგოისტური ქმედებებით მატერიალურ და სულიერ გაღატაკებამდე მიიყვანა ჩვენი არსებობა. უჭირს ქვეყანას, მის ეკონომიკას, ხელოვნებას, კულტურას, სპორტსა და მის სახელოვან ფალავნებს. დიახ, მძიმე დღეები უდგას ჩვენს ფალავნებსა და ფალავნურ საქმიანობას, იგი „ყოფნა-არყოფნის" ზღვარამდეა მისული.

ჩვენ ჯერ კიდევ გათავისებული არა გვაქვს ფალავანთა როლი ჩვენი რაობისა და თვითმყოფადობის შენარჩუნებაში. ფალავნობა „ჩვენობის" შემონახვის ერთ-ერთი მთავარი ბერკეტია. თითოეულ ცნობილ ფალავანში ჩადებულია ჩვენი ერის საბრძოლო სული, გამბედაობა, შემართება, ვაჟკაცობა, გულღიაობა, ტემპერამენტი, ნიჭიერება, რაინდობა, ერის სიბრძნე, პირველ რიგში კი სამშობლოსადმი უსაზღვრო თავდადებაა. რომელ „კემბრიჯის" ან „ოქსფორდის" უნივერსიტეტდამთავრებულ ჩვენს თანამემამულეს შეუძლია შემოგვინახოს ის ქართული თვითმყოფადობის მარცვალი ან ნაპერწკალი, მადლი თუ ლაზათი, როგორც ვთქვათ, ამ მიწაზე აღზრდილს ამ მიწის შვილს, ქართულ ტრადიციებსა და საბრძოლო შერკინებებში გამობრძმედილ ფალავანს. ასეთ ფალავნებს არაერთხელ დაუმტკიცებიათ მსოფლიოსთვის ქართული გენის სიძლიერე.

ზოგი იკითხავს: რაო, ევროპასა და ამერიკაში აღზრდილი დიპლომატები არ სჭირდება საქართველოს, იქაც ფალავნებს ხომ არ გავგზავნით სასწავლებლადო? რა ვიცი, რაში გვადგია ის დიპლომატი, რომელიც თავის ქვეყანაში მარტო უარყოფითს ხედავს და აქ ჩამოსვლაც აღარ სურს, და მეორეც, რა ქართველია ის დიპლომატი, რომელსაც „შუაკაური" და „მოგვერდი" დაავიწყდება, „წინწყაროს" ღიღინს შეწყვეტს და სხვა ქვეყნის ცხოვრებაში ჩაეშვება და ის მთავარი მიზანი დაავიწყდება, რომ იგი საქართველოს შვილია და მისი სიცოცხლე სამშობლოს ეკუთვნის. იმის მაგიერ, რომ ვაჟკაცობა და რაინდობა გამოავლინოს, პირველი თვითონ მირბის თავის გადასარჩენად, ანდა, სამშობლოს მოწინააღმდეგესთან ფალავნური ჩავლებისა და გდების მაგივრად „კონსტიტუციურ სასამართლოს" მიმართავს საჩივრით... აბა ვის გაუგია ფალავნის ჩივილი და რაღა ფალავანია იგი ამის შემდეგ...

ნუთუ უნდა დაგვავიწყდეს, რომ „...უწინ სახალხო ფიზიკურ წრთობას გამოჩენილი მეომრები ხელმძღვანელობდნენ. ჩვენს წელთაღრიცხვამდე II საუკუნეში ქართველ ფალავნებს თურმე საბერძნეთში საბრძოლო ხელოვნების სამშობლოშიც იწვევდნენ. აღსანიშნავია ერთი გარემოებაც: მაშინდელი „გიმნასტიკა" თანამედროვე ნაირსახეობისგან განსხვავებით, ფარიკაობის, კრივის, ჭიდაობისა და სამკურნალო ვარჯიშებისაგან შედგებოდა. სპორტის ამ სახეობებს საქართველოში დიდი ხნის ტრადიცია აქვს. დასანანია, რომ დღეს ქართველი მწვრთნელები პროფესიონალიზმს რუსი და უცხოელი ავტორების სახელმძღვანელოებით იმაღლებენ, ჩვენი ეროვნული და ორიგინალური საბრძოლო გამოცდილება კი აღარავის ახსოვს. საქართველოს საბრძოლო ხელოვნების ფედერაციის მიერ მოძიებული მასალით, საქართველოს თითოეულ კუთხეს საკუთარი ჭიდაობის 15 ნაირსახეობა გააჩნია. აქედან, დღემდე ქართულის გარდა, რაჭულმა, ორმა სვანურმა და ხევსურულმა „მოშდამოშმა" მოაღწია. ალბათ დადგა დრო, ქართული ჭიდაობის ფედერაციის მესვეურებმა ამ გადარჩენილი სახეობებისადმი მეტი ყურადღება გამოიჩინონ, რადგანაც მრავალ ისეთ უცნობ ილეთს შეიცავენ, რაც ჩვენს ფალავნებს საერთაშორისო სარბიელზე წაადგებათ".[1]

მიუხედავად ზემოაღნიშნული გაჭირვებისა, ჩვენი ფალავნები შეძლებისდაგვარად არ აკლდებიან არც ერთ საერთაშორისო ტურნირებსა თუ შეჯიბრებებს, ოლიმპიურ თამაშებსაც კი.

დღეს ყველა ცდილობს საერთაშორისო სარბიელზე თავისი სპორტის ეროვნული სახეობა გაიტანოს. ამის სურვილი იაპონური ძიუ-დოს ოლიმპიურ პროგრამაში შეტანით განსაკუთრებით ბევრს გაუჩნდა. როგორც ზემოთ ვახსენეთ, ქართულ ჭიდაობას 15 ნაირსახეობა გააჩნია და არც ერთი მათგანი არ გაგვიტანია საერთაშორისო სარბიელზე, თუმცა სხვა სახის ჭიდაობების შეჯიბრებებსა და ჩემპიონატებზე მონაწილეობისას ეროვნულის ხარჯზე შესანიშნავ შედეგებს ვაღწევთ. მაგალითისათვის გავიხსენოთ თურქეთში გამართული შეჯიბრება.

ჩვენს მეზობელ თურქებს გაუჩნდათ თავისი სპორტის (საბრძოლო ხელოვნების) ეროვნული ჭიდაობის სახეობის — „კურეშის" საერთაშორისო სარბიელზე გატანის სურვილი. „...თურქი ხალხის ყოფამ დღემდე შემოინახა ჭიდაობა „კურეში". 2000 წლის შემოდგომაზე სწორედ ამ ეროვნულ სახეობაში გაიმართა თურქეთის ღია ჩემპიონატი, რომელსაც საერთაშორისო სტატუსი შესძინა მასში საქართველოს მოჭიდავეების მონაწილეობამ... ქართველთა ჭიდაობით აღფრთოვანებული დარჩა ყველა. შეჯიბრების შემდეგ თავისთან მიიწვია თურქეთის სპორტის მინისტრმა ქართველები და დიდი მადლობა გადაუხადა მათ. შეაქო, — ეს რა ჩინებული მოჭიდავეები გყოლიათო". თურქულ „კურეში" ფალავნის ტანი გაქონილია და ძალიან ჩამოჰგავს თავისუფალ ჭიდაობას. ქართველ ფალავანთა მიერ მოპოვებულმა შთამბეჭდავმა გამარჯვებამ (კურეშში თურქეთის ჩემპიონი ხუთი ქართველი გახდა, რვა კი პრიზიორი) საყოველთაო ინტერესი გამოიწვია მთელ თურქეთში. შეხვედრები გადაიცემოდა ტელევიზიით"[2]

ზოგიერთ უცხოელთან საუბრისას, მათ გაკვირვებას იწვევს ის ფაქტი, რომ ეს ეკონომიკურად ჩამორჩენილი ქვეყანა (საქართველო) თურმე ოლიმპიურ თამაშებშიც მონაწილეობს და მას ასევე უამრავი ოლიმპიური ჩემპიონი (და არაერთგზის) და პრიზიორიც ჰყოლია (?!). უკანასკნელ ოლიმპიურ თამაშებში ჩვენმა ფალავნებმა 6 ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს. ეს მშვენიერი შედეგია 31-წევრიანი დელეგაციისათვის. თუ დაუკვირდებით რა სახეობებში ვისახელეთ თავი, დავინახავთ, რომ ისევ და ისევ საბრძოლო ხელოვნებების უშუალო განმასახიერებელ სახეობებში: ძიუ-დო, ჭიდაობა, ძალოსნობა ანუ „ხალხურ" („მდაბიოთა"). ეს ხომ „ქართველ მთიელთა" სტილით აღზრდილი ფალავანთა სახეობებია.

„სიდნეიში მოპოვებული 6 ბრინჯაოს მედლით საქართველოს ოლიმპიელებმა 34-ე ადგილი დაიკავეს. მედლების რაოდენობით ქართველებმა უკან ჩამოიტოვეს ისეთი ქვეყნები, როგორიცაა თურქეთი, ირანი, ბელგია, არგენტინა, სლოვაკეთი, ლიტვა, ლატვია, ესტონეთი, უზბეკეთი, აზერბაიჯანი, სომხეთი და სხვა. და მაინც, მიუხედავად ამ შედეგისა, გული გვწყდება ჩვენები ოლიმპიური ოქროს გარეშე რომ დაბრუნდნენ: იღბალსა და მსაჯებს რომ არ ემუხთლათ, ეს ამოცანაც შესრულებული იქნებოდა... რამდენი ჩვენი ფალავანი ახლოს იყო ოქროს მედალთან! სიდნეიში ყველაზე ძალიან ჩვენი სახელოვანი ვეტერანი ნონა გაფრინდაშვილი განიცდიდა — იგი სასოწარკვეთით ქვითინებდა. ვის, ვის და მან კარგად იცის რა მნიშვნელობა ჰქონდა ჩვენთვის ოქროს მედალს!.. მწარე რეალობაა, მაგრამ ფაქტია — რაოდენ დიდი პატრიოტიცა და მამულიშვილი არ უნდა იყოს, დღეს ხშირად მიდის იქ, სადაც უკეთეს ანაზღაურებას სთავაზობენ. ეტყობა, ამ შემთხვევაშიც ასე მოხდა და ავსტრალიელებმა ჩვენს სპორტსმენებს უკეთესი პირობები აღუთქვეს. სიდნეიდან გამომგზავრებულმა საქართველოს სპორტულმა დელეგაციამ სამი წევრი მოისაკლისა..."[3]

და ბოლოს მინდა გავიხსენო ზაფხულის XXVII ოლიმპიური თამაშების „სიდნეი-2000"-ის ერთი პატარა ეპიზოდი. ოლიმპიური თამაშების უმაღლეს კვარცხლბეკზე იდგა ძალოსნობაში (94 კგ წონით კატეგორიაში) გამარჯვებული, უკვე მესამე ოლიმპიური ოქროს მფლობელი, ქართველი ფალავანი (როგორც უკვე ვთქვით, ფალავანი ფართო მცნებაა და ფალავანია ყველა ძლიერი და უძლეველი მოჭიდავე თუ ძალოსანი, მოკრივე თუ მოფარიკავე...), ბერძნული ოლიმპიური დელეგაციის სპორტულ ფორმაში გამოწყობილი და ამჟამად საბერძნეთის მოქალაქე, ცხინვალელი კახი კახიაშვილი (ამჟამად კახიაშვილისი). აღმართული იყო საბერძნეთის დროშა, ისმოდა საბერძნეთის ეროვნული ჰიმნი, და რა ადვილი მისახვედრია თუ რას ფიქრობდა და განიცდიდა ეს უძლეველი ქართველი ფალავანი: იგი სულითა და გულით საქართველოში იყო და ჩუმად ძველ ქართულ სიმღერას მღეროდა...

ეტყობა ფალავნებითა და ტალანტებით მეტად მდიდრები ვართ ქართველები. სხვაგვარად ძნელი წარმოსადგენია ის გულარხეინობის მიზეზი, რომლითაც საკუთარ ფალავნებს ვეპყრობით. როგორ არ უნდა გავიხსენოთ ამ ათი წლის წინათ ქართულ პრესაში გამოქვეყნებული წერილი, რომელიც უკვე ერთგზის ოლიმპიური ჩემპიონის რანგში მყოფმა კახი კახიაშვილმა (1992 წლის ოლიმპიურ თამაშებში საქართველოს ოქროს მედალი შესძინა) საქართველოს და მის შეძლებულ წარმომადგენლებს თხოვნით მიმართა. სამშობლოში მომზადებაში ხელის შეწყობას და მხარში ამოდგომას სთხოვდა: „მე საქართველოს შვილი ვარ და მსურს მთელი ჩემი შესაძლებლობა და ვაჟკაცობა სამშობლოს სახელსა და ინტერესებს მოვახმარო..." ვერ შევძელით მასთან მხარში ამოდგომა და ფინანსური დახმარება (თუმცა მრავალ მდიდარ „ახალ" ფენის თანამემამულეებს მილიონები სათუთად აქვთ უცხოურ ბანკებში თბილად პირადი განცხრომებისათვის შენახული) და... ახლა ოლიმპიური სახელი და ჩემპიონობა სხვა ქვეყანას გადაეცა.

რამდენი სხვა ქართველი ფალავანი: ძალოსანი იქნება თუ მოჭიდავე, ფეხბურთელი იქნება თუ მძლეოსანი, გამოდის და ალბათ, გამოვა კიდეც სხვა ქვეყნების სახელითა და ქართულ გვარზე წამატებული ასოებით.

**იური ყეინაშვილი**
საბრძოლო ხელოვნებების ოსტატი
სპეციალურად „ლელოსათვის"

1. გიორგი გაჩეჩილაძე. გაზ. „ალია", №137, 4 ნოემბერი, 1996 წ. „ქართული საბრძოლო ხელოვნება — მითი თუ რეალობა?"
2. „თურქულ ჭიდაობაში ქართველებმა იფალავნეს", გაზ. „ლელო", №80, 10-12 ოქტომბერი, 2000 წ.
3. გაზეთი „ლელო", №76 და 78, სექტემბერი-ოქტომბერი, 2000 წელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს ოლიმპიური ჩემპიონები

## მზია ჯუღელიდან — [illegible]



ტანმოვარჯიშეთა ასპარეზობის ოლიმპიადის პროგრამით დასრულების შემდეგ, საგნით ჯგუფურმა ვარჯიშმა უამრავი მაყურებელი მიიზიდა მეხელენის დარბაზში. ყველა შთამბეჭდავ სანახაობას მოელოდა. თითოეულ გუნდში 8-8 მონაწილე გამოდიოდა არენაზე. ნებისმიერი იყო ვარჯიშიც და საგანიც – გუნდს ან გურზები უნდა აერჩია, ან რგოლები.

სპეციალისტები, ოლიმპიადამდე ბოლო 6 თვის განმავლობაში 8 საბჭოთა სპორტსმენ ქალს ფორსირებულად ამზადებდნენ. თავიდან დავა იმანაც კი გამოიწვია, რგოლები აერჩიათ თუ გურზები. ვინ აღარ ჩაერია საქმეში, ვის არ მიმართეს რჩევისთვის მწვრთნელებმა. პასუხისმგებლობის შიშს მართლა „დიდი თვალები“ ჰქონდა მაშინ.

არჩევანი რგოლებზე შეჩერდა. ყველაფერი მისხალ-მისხალ აწონდაწონეს, ფიზიკოსთა და ცირკის მსახიობთა რჩევებიც კი გაითვალისწინეს. რატომ მაინცდამაინც რგოლები? დასკვნა ასეთი იყო: ჯობს ერთი საგნით ვარჯიში, ვიდრე ორით. მოვარჯიშეთა სინქრონულ მოძრაობაში სულაც არ იყო გამორიცხული წყვილი გურზიდან ერთ-ერთის დავარდნა, რაც შეფასებაზე იმოქმედებდა.

მოკლედ - რგოლები! ქორეოგრაფად შესანიშნავი სპეციალისტი დიმიტრი ოსიპოვი შეარჩიეს. ავარჯიშებდნენ ჯერ წყვილებში, მერე ოთხ-ოთხს, ბოლოს ჯგუფურად. ნელ-ნელა იხვეწებოდა კომპოზიცია.

არც მუსიკა შეურჩევიათ ჰაი-ჰარად. როცა ვარჯიშები ჯერ კიდევ მონახაზში იყო მხოლოდ, არაერთი მელოდია გასინჯეს. თავდაპირველად მწვრთნელები სხვადასხვა კომპოზიტორთა ნაწარმოებს ცარიელ დარბაზში ისმენდნენ, მოვარჯიშეთა მოძრაობებს წარმოსახვაში უსადაგებდნენ მელოდიას, რიტმს, ტაქტს. კოლექტიური შეთანხმებით, ყველაზე მიზანშეწონილად „მძინარე მზეთუნახავის“ მუსიკა მიიჩნიეს.

***მზია ჯუღელი:*** „ძალიან რთული ილეთები გვქონდა დასახვეწი. სირთულეზე სპეციალისტები შეგნებით წავიდნენ. უმოწყალოდ და უზომოდ ბევრს გვავარჯიშებდნენ.

გარკვეული დრო მუსიკის ზეპირად შესწავლას შევწირეთ. ამის შემდეგ, მეტწილად უმუსიკოდ ვვარჯიშობდით, თან ვმღეროდით, ყურში ჩაგვესმოდა მუსიკა, რომელსაც არ ვუსმენდით, მაგრამ ვუხამებდით მოძრაობებს. თავიდან ჯოჯოხეთად მოგვეჩვენა ყველაფერი, მერე დაძაბულობა მოგვეხსნა, ისე გავლაღდით, თავადაც გვიკვირდა. „ყველაფერი კარგია, მაგრამ გვაკლია ღიმილი, კარგად დაიხსომეთ – ღიმილი!“ – ჩაგვჩიჩინებდნენ მწვრთნელები. სიმართლე გითხრათ, ქანცგამოცლილებს, რაღა ღიმილის თავი გვქონდა“.



*1952 წ. მარცხნიდან: გივი კარტოზია, მზია ჯუღელი და დავით ციმაკურიძე*

სხვათა შორის, მზია ჯუღელმა მართლა ალალი ღიმილი მოჰგვარა და შესანიშნავი განწყობის სტიმული მისცა თანაგუნდელებს ოლიმპიურ სარბიელზე გასვლისას. საბჭოთა ქალთა გუნდმა საწყისი პოზიცია დაიკავა თუ არა, მზიამ ერთ-ერთი მწვრთნელის ინიციატივით წარმოთქვა: „ღიმილი გოგონებო!“ ღიმილი კი არა, ლამის სიცილი აუტყდათ გოგონებს, გუნდი გამხიარულდა.

საბჭოთა ნაკრებმა დახვეწილი კომპოზიცია მაღალი ოსტატობით წარმოადგინა, მაგრამ უკეთესი შთაბეჭდილება, უპირველესად მსაჯებზე შვეციის შესანიშნავმა გუნდმა მოახდინა და „რუსები“, მხოლოდ მეორე ადგილს დასჯერდნენ, რომლებსაც მხოლოდ მცირედით ჩამორჩნენ და ოლიმპიადის მესამე პრიზიორები გახდნენ უნგრელები.

ოლიმპიური ოქროს და ვერცხლის მედლის მფლობელი საბჭოთა ტანმოვარჯიშე ქალთა გუნდი, შინ არ გამოისტუმრეს შეჯიბრების დამთავრების შემდეგ. რაც მათი დამსახურების ერთგვარი დაფასება იყო.

***მზია ჯუღელი:*** „ოლიმპიადის ბოლომდე დაგვტოვეს და თამაშების დახურვის ცერემონიალშიც მიგვაღებინეს მონაწილეობა. მანამდე, თავისუფალ დროს, სპორტის სხვა სახეობებში ჩვენი სპორტსმენების გამოსვლებს ვესწრებოდით, ვქომაგობდით, ვამხნევებდით. მე და გოროხოვსკაია ხშირად დავდიოდით სათევზაოდ“.

ოლიმპიადა დამთავრდა. საბჭოთა სპორტსმენების გამოსვლებით ყველა კმაყოფილი დარჩა, უცხოელები კი გაოცებულნიც იყვნენ. დიდი ამბავი საბჭოეთში არ აუტეხიათ, გმირებად არ გამოუცხადებიათ მარადიული ჩემპიონები, მაშინ სხვა კულტი იყო ქვეყანაში. გასაოცარი ისიც იყო, რომ მატარებლით შინ დაბრუნებულ ოლიმპიელებს სასაზღვრო ქალაქ ვიბორგის რკინიგზის სადგურის გარდა, მასობრივი ალტაცებით არსად შეხვედრიან, ორკესტრიც უკრავდა, როგორც მიღებული იყო. შინ დაბრუნებულ ოლიმპიურ ჩემპიონებს კი სახელმწიფომ დანაპირები 10-10 ათასი მანეთიც არ მისცა.

ეტყობა მითითება იყო, „თავში არ ავარდნოდათ“ წარმატება სპორტსმენებს, ეს ხომ საბჭოთა მოქალაქისთვის უცხო რამ იყო.

თქვენ წარმოიდგინეთ, მოსკოვიდან საქართველოში მიმავალ საქართველოს ოლიმპიელებს ზარზეიმით არც მშობლიური მიწაწყლის სადგურებზე შეხვედრიან...

**თენგიზ გაჩეჩილაძე**

*დასაწყისი იხ. „ლელო“ №40-41, 43-45, 47, 49, 51, 53, 55.*

*გაგრძელება იქნება*



*1952 წ. ჰელსინკი. XV ოლიმპიურ თამაშებზე ვერცხლის მედლის მფლობელ სსრ კავშირის ქალთა ნაკრების გამოსვლის ფრაგმენტი.*

### ცურვა

## სკანდალი ანუ როგორ გახდნენ ინგლისელები ჩემპიონები



გუშინ იაპონიის ქალაქ ფუკუეკეში სპორტის წყალთა სახეობებში მიმდინარე მსოფლიო ჩემპიონატზე 4X200 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში გამარჯვებულ ინგლისელ ქალთა გუნდის წევრებს ოქროს მედლები გადასცეს. არადა, წინა დღეს ბრიტანელები მხოლოდ მესამე იყვნენ ფინიშთან. ავსტრალიელები — პირველები, ამერიკელები მეორენი იყვნენ. ამერიკელთა გუნდი უმალვე მოხსნეს ასპარეზობიდან, ვინაიდან მეორე ეტაპზე მონაწილე წყალში ადრე გადაეშვა, როცა პირველ ეტაპზე მოცურავე ჯერ შეხებულიც არ იყო აუზის კედელს. ცოტა ხანში „წითელი ბარათი“ ავსტრალიელებს უჩვენეს. მიზეზი კი ის გახდა, რომ ავსტრალიელი პეტრია ტომასი გამარჯვებით აღტაცების გამოსახატავად ჩახტა აუზში, როცა ბოლო მონაწილეს იტალიის გუნდიდან ცურვა არ დაემთავრებინა.

ამერიკელებმა პირველებმა შეიტანეს პროტესტი იმ მიზეზით, რომ ელექტრონიკამ შეცდომით დააფიქსირა დარღვევა. პროტესტი დააკმაყოფილეს, მაგრამ ამას უმალვე მოჰყვა სამი ახალი აპელაცია. ავსტრალიელები ითხოვდნენ ოქროს მედლების დაბრუნებას, აქაოდა ავსტრალიელს ნაადრევ სტარტზე ფოტოგრაფმა უბიძგაო, ინგლისისა და იაპონიის დელეგაციებმა კი ამერიკელების პროტესტის დაკმაყოფილებამ გააღიზიანა.

საერთაშორისო ფედერაციის (ფინა) სადისციპლინო კომიტეტმა ავსტრალიელთა პროტესტი უარყო, ინგლისელთა და იაპონელთა საჩივარი კი დააკმაყოფილა.

ამრიგად, ბოლო 26 წლის მანძილზე დიდი ბრიტანეთის წარმომადგენლებმა პირველად მოიპოვეს ოქროს მედლები ცურვაში.

„ეს გამარჯვება ღირსეულად მოვიპოვეთ. რა ჩვენი ბრალია თუ ავსტრალიელებმა და ამერიკელებმა წესები დაარღვიეს“ — თქვა ბრიტანელთა მენეჯერმა ხანტერმა.

## ბოლო მედალი იტალიელს ხვდა

**მოცურავეთა ასპარეზობა გუშინ 200 მეტრზე კომპლექსური ცურვით დასრულდა. ჩემპიონის ბოლო მედალი წილად ხვდა იტალიელ მასიმილიანო როსოლინოს (სურათზე), რომელმაც მანძილი 1.59,71 წამში დაფარა, მეორე იყო ამერიკელი ტომას უილკენსი — 2.00,73, მესამე — ავსტრალიელი ჯასინ ნორისი — 2.00,91.**



## ფინალში - იტალია - უნგრეთი

წყალბურთელთა ტურნირიც ფინიშს უახლოვდება. გუშინ ცნობილი გახდა, რომ ქალთა პირველობის ფინალში ითამაშებენ იტალიისა და უნგრეთის გუნდები.



**სინქრომული ხტომა** 3 მეტრიანი ტრამპლინი: 1. ვუ მინსია, გუო ცზინცზინი (ჩინეთი) — 347,31, 2. იულია პახალინა, ვერა ილინა (რუსეთი) — 320,61, 3. დიტე კოციანი, კონი შმალფუსი (გერმანია) — 303,03.

## არმსტრონგი ინარჩუნებს ლიდერის მაისურს

**ბელგიელმა სერჟ ბაგემ სპრინტერული გაჭრით მოიგო „ტურ დე ფრანსის“ მე-17 ეტაპი. საერთო ჩათვლაში ლიდერმა ამერიკელმა ლენს არმსტრონგმა ამ ეტაპზე არ გარისკა და საერთო ჯგუფთან ერთად გადაკვეთა ფინიში, შეინარჩუნა რა ლიდერის ყვითელი მაისური.**



*სერჟ ბაგე*

## მსაჯის გამლახველ ფეხბურთელს 5 წლით ციხე ემუქრება

**ჩისტოპოლში დასრულდა სისხლის სამართლის საქმის გამოძიება, რომელიც საფეხბურთო კლუბ „ბარსის“ მოთამაშის ედუარდ იუგრინის წინააღმდეგ მსაჯის ცემისთვის აღიძრა. ეს ფაქტი თათრეთის რესპუბლიკის ჩემპიონატში მოხდა. რუსეთის ფედერაციის კანონმდებლობის 112-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად ფეხბურთელს 5 წლით პატიმრობა ემუქრება.**

**2 ივნისს, მსაჯის გადაწყვეტილებით უკმაყოფილო იუგრინმა 40 წლის არბიტრი ალბერტ შაკიროვი ნოკაუტში ჩააგდო. შაკიროვმა ტვინის ძლიერი შერყევისა და ყბის ძვლის მოტეხილობით რამდენიმე კვირა იმკურნალა კლინიკაში. სასამართლომ საქმე უკვე ჩაიბარა.**



## საქართველოს XIII ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

# მეცამეტე ზარი

გაილია მოლოდინის მძიმე დღეები, ხვალ მეცამეტე ეროვნული ჩემპიონატი დაიწყება. ქვეყნის ექვსი ქალაქის სტადიონზე აფრიალდება ქართული დროშა, აჟღერდება ნაცნობი მელოდია და თორმეტი უმაღლესლიგელი ჩემპიონის საპატიო და სანუკვარი ტიტულისთვის საფეხბურთო ლაშქრობას დაიწყებს. მომქანცველი მარათონი რვა თვის განმავლობაში მოსვენებას დაუკარგავს ქართული ფეხბურთის ჭეშმარიტ გულშემატკივარს, ფეხბურთელებს ოფლს დააღრევინებს, მსაჯებს მრავალ თავსატეხს გაუჩენს, მწვრთნელებს ნერვებს დააწყვეტს, ჩინოვნიკებს კი სულს არ მოათქმევინებს, ყველას საქმე ექნება. მოკლედ, ქართული ფეხბურთის სამყარო ერთ დიდ სკას დაემსგავსება, სადაც ყოველ წამს, ყოველ წუთს, თითოეულ დღეს შრომითი ფერხულია გაჩაღებული. ცამეტი, თარსიაო იტყვიან, მაგრამ სწორედ ცამეტ რიცხვში არ მოიპოვა უდიდესი გამარჯვება ქართულმა ფეხბურთმა!? მერე მოსავლის დათვლის დროც მოვა, მაგრამ მანამდე შორია, ძალიან შორი. პირველი ზარი კი მეცამეტედ დაირეკება, ახმაურდება ამერიმერის სტადიონები, ვიხილავთ ლამაზ გოლებს დანატრებულ კომბინაციებს, ახალი თაობის გამორჩეულ ფეხბურთელებს, ზღაპარია, სულაც არა! დამოუკიდებლად გადადგმულ კიდევ ერთი ნაბიჯი განვითარების, წინსვლის მაჩვენებელი უნდა გახდეს. რამდენად შეძლებს ამას ჩვენი ფეხბურთი თითოეულ ჩვენთაგანზეა დამოკიდებული. კიდევ ბევრის თქმა შეიძლება, მაგრამ ზედმეტი ლირიკა საჭირო არაა. უმჯობესია თორმეტივეს ვუქომაგოდ, ამით ხომ ჩვენი, თქვენი, ყველას ქართული ფეხბურთი გაიმარჯვებს, გულშემატკივარი კი უზომოდ გაიხარებს.

მეცამეტე ეროვნული ჩემპიონატის პირველ ტურში ითამაშებენ: ტორპედო (ქუთაისი) – ლოკომოტივი (თბილისი), კოლხეთი 1913 (ფოთი) – სამგურალი (წყალტუბო), გურია (ლანჩხუთი) – მერანი 91 (თბილისი), დინამო (თბილისი) – სიონი (ბოლნისი), გორდა (რუსთავი) – ვიტ ჯორჯია (თბილისი), დინამო (ბათუმი) – მეტალურგი (ზესტაფონი).

თითოეული გუნდი თავისი იმედით და სატკივარით დაიწყებს პირველობას. ერთნი ქუთათურებს ტიტულს შეეცილებიან, მეორენი ლიგაში ადგილის შენარჩუნებაზე იფიქრებენ. გახდება ახალი ჩემპიონატი სიახლის მაუწყებელი და გამხარებელი? ალბათ ასეც იქნება, ბოლოს და ბოლოს ხომ უნდა გამოჩნდეს ქართული ფეხბურთის მრავალი პრობლემის დაძლევის თუნდაც ნაპერწკალი და ის მალამო, რომელიც ჩვენთვის უსაყვარლეს და უპირველეს სპორტულ სანახაობას, ფეხბურთს, სატკივარს დაუამებს და უწამლებს.

**მიხეილ საბახტარიშვილი**

***მცირე ამონაკრები ჩემპიონატის რეგლამენტიდან:***

***XIII ეროვნული ჩემპიონატი წინანდელის ანალოგიური სისტემით გათამაშდება. უმაღლეს ლიგაში პირველ ეტაპზე 12 გუნდი ორ წრედ (შინ და სტუმრად) საუკეთესო ექვსეულს გამოავლენს, რომელიც განახევრებული ქულებით მეორე ეტაპზე გააგრძელებს მედლებისთვის ბრძოლას. იქაც ორ წრედ (შინ და სტუმრად). ასევე ითამაშებს ქვედა ექვსეული. XI-XII ადგილებზე გასული გუნდები პირველ ლიგაში დაქვეითდებიან, X ადგილზე გასული გუნდი შეხვდება პირველ ლიგაში III ადგილოსანს და ნეიტრალურ მინდორზე გაარკვევს უმაღლეს ლიგაში დამრჩენის ვინაობას. უმაღლესი ლიგის გუნდები, რომლებიც პირველი ეტაპის შემდეგ დააგროვებენ კენტ ქულებს, დაემატებათ ერთი ქულა და შემდეგ გაუნახევრდებათ. გატანილი და მიღებული ბურთების აღრიცხვა დაიწყება ნულიდან.***

***თანაბარი ქულების დაგროვების შემთხვევაში ყველა ლიგაში ჩემპიონის გამოსავლენად დაინიშნება დამატებითი მატჩი ნეიტრალურ მოედანზე (თამაშის ფრედ დამთავრების შემთხვევაში დაინიშნება დამატებითი 15 წუთიანი ტაიმები, თუ არ გამოვლინდა გამარჯვებული დაინიშნება პენალტები. მომდევნო ადგილები გაირკვევა შემდეგი პრინციპით:***

***1. მოგებათა მეტი რაოდენობა...***
***2. უშუალოდ ერთმანეთში შეხვედრების შედეგები...***
***3. ჩემპიონატში გატანილი და მიღებული ბურთების უკეთესი სხვაობა.***
***4. გატანილი გოლების მეტი რაოდენობა.***
***5. სტუმრად გატანილი გოლების მეტი რაოდენობა.***
***6. ფეირ-პლეის შედეგები.***

***თუ გუნდებს ეს მაჩვენებლები თანაბარი აღმოაჩნდებათ ადგილების გამოსავლენად მოეწყობა კენჭისყრა.***

***თამაშები ივლისში დაიწყება 19 საათზე.***
***აგვისტოში 18-30 საათზე.***

**I ტური. 28 ივლისი • მთავარი მსაჯები**

ტორპედო – ლოკომოტივი – ალექსანდრე შილაკაძე
კოლხეთი1913 – სამგურალი – სერგო კვარაცხელია
გურია – მერანი91 – მალხაზ მაისურაძე
დინამო (თბ) – სიონი – კახაბერ მესხი
გორდა – ვიტ ჯორჯია – პაატა დოგრაშვილი
დინამო (ბთ) – მეტალურგი – ავთანდილ შალამბერიძე

**დანაშაული და სასჯელი**

## მოტეხილი ხელი კი სფფ-ს განსაკურნებელი გახდა

სფფ-ს სადისციპლინო კოლეგიის 218-ე სხდომა განვლილი სეზონის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მატჩში მომხდარ ინციდენტს მიეძღვნა. ლაპარაკია, მიხეილ მესხის თასის ფინალურ შეხვედრაზე, რომელიც მაყურებელთა უმსგავსობის გამო ჩაიშალა. აი რას წერდა მაშინ „ლელო" (№49, 26-28 ივნისი): „თბილისის გუნდების „ავაზასა" და „მერანის" მატჩის 70-ე წუთზე, მაშინ, როცა ანგარიში 2-1 იყო „მერანის" სასარგებლოდ, უპრეცედენტო ფაქტი მოხდა. გვერდითი მსაჯის ზურაბ დოლიძის გადაწყვეტილებით უკმაყოფილო ერთ-ერთი ვაიგულშემატკივარი დამცავ ღობეს გადაევლო, მსაჯს მიეჭრა და წიხლი ჩასცხო. მატჩი შეწყდა და აღარც განახლებულა. ზურაბ დოლიძემ მძიმე ტრავმა მიიღო მას ორ ადგილას აქვს ხელი მოტეხილი.

„ტურნირი, რომელიც უდიდესი ფეხბურთელის სახელს ატარებს და უპირველესად ახალი თაობის აღზრდას უნდა ემსახურებოდეს, ხულიგნების სათარეშო და ანგარიშსწორების ადგილად იქცა. ... შეხვედრა, რომელსაც გამარჯვებული სპორტულ პაექრობაში უნდა გამოევლინა, ახლა სადისციპლინო კოლეგიის გასარჩევი გახდა, სამწუხარო და დამაფიქრებელი ფაქტია!"

საკითხის განხილვამ დიდი დრო წაიღო. მსაჯების, მატჩის ინსპექტორის, სფფ-ის ჭაბუკთა ფეხბურთის კომიტეტის და მონაწილე კლუბების წარმომადგენლების მოსმენისა და მსჯელობის შემდეგ, კოლეგია მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ინციდენტის გამომწვევი მაინც „ავაზას" გულშემატკივარი უნდა ყოფილიყო, თუმცა გუნდის მესვეურები ამას კატეგორიულად უარყოფდნენ, და დაადგინა, დებულების თანახმად „ავაზას" საფეხბურთო სკოლის გუნდს ჩაუთვალა ტექნიკური წაგება 0-3, ორივე გუნდის ხელმძღვანელები გააფრთხილეს და მიუთითეს, რომ საჭიროა მშობლებთან და გულშემატკივრებთან მუშაობა, რათა გამოირიცხოს მსგავსი ფაქტები ნებისმიერი რანგის ბავშვთა და ჭაბუკთა ტურნირზე. კოლეგია ჭაბუკთა ფეხბურთის კომიტეტსაც შეეხო და მოსთხოვა მომავალ შეჯიბრებებში საფეხბურთო სკოლების მშობელთა კომიტეტებთან ერთად უზრუნველჰყონ მატჩების სათანადო უსაფრთხოება.

კოლეგიამ წამოჭრა მსაჯ ზურაბ დოლიძის მკურნალობის ანაზღაურების საკითხი. მსაჯის ჯანმრთელობის რეაბილიტაციის თანხის ნაწილი სფფ-მ და ფეხბურთის მუშაკთა პროფკავშირმა გაიღო მხოლოდ. და კიდევ, მოითხოვეს ხულიგნობის ფაქტზე ვაკე-საბურთალოს პოლიციაში აღიძრას სისხლის სამართლის საქმე და დადგინდეს ინციდენტის გამომწვევი პირის ვინაობა და ბრალეულობა.

**ჩემპიონთა ლიგა** | **მეორე საკვალიფიკაციო ეტაპი, პირველი მატჩები**

# ბედის ჩარხი წაღმა შევატრიალოთ

***ქუთაისი. „ტორპედოს" სტადიონი. 28 ივლისი.***

***ტორპედო – კოპენჰაგენი 1–1***

**ტორპედო:** გვარამაძე, დიდავა, აბრამიძე, მახვილაძე (ქუთათელაძე 84), თოდუა, ქემოკლიძე, პარამანოვი (ბაბუნაშვილი 49), რ. ახალკაცი (გ. შენგელია 49), ასათიანი, იონანიძე, აშვეთია.

**კოპენჰაგენი:** კილსტედი, რიტერი, მადსენი, ლაურსენი, იენსენი, პოულსენი, ლონსტრუპი, ნილსენი, ტორნინგენი (კრისტიანსენი 67), როლი, ზუმა (ბისგაარდი 75).

*გოლი:* 0-1 ზუმა (44), 1-1 აშვეთია (76)

*გააფრთხილეს:* დიდავა

*მსაჯი:* ფ.დე ბლიკერი (ბელგია)

ცუდია, როცა სიძაბუნე გთრგუნავს და წინააღმდეგობის გაწევის სურვილი გიქრება. ცუდია, როცა რაღაცას თუ ვიღაცის გეშინია და არ იცი, ეს შიში, როგორ დასძლიო. ცუდია, როცა საბრძოლველად გადიხარ, მაგრამ არ იცი, როგორ იბრძოლო, მეტოქეს რა ხერხით გაუმკლავდე.

ცუდია, როცა მცირედით კმაყოფილდები და ეს მცირედიც თითქმის მარცხის ტოლფასია.

იყო დრო დანიური ფეხბურთი ქართულთან ახლოსაც ვერ მივიდოდა, მაგრამ ულმობელმა დრომ ყველაფერი ჩვენს გულსატკენად შეატრიალა. დღეს ქართულ-დანიურ ჩემპიონთა ჭიდილში სკანდინაველი ფავორიტია, მოსაგებად მოდის, თუმცა თავს იზღვევს და ევროპულ ზრდილობას ამოფარებული, ფრეც აკმაყოფილებს. სტუმრებს ვერც გაამტყუნებ, გაუჭირდათ, მაგრამ საწადელს მაინც მიაღწიეს. „ტორპედომ" იჭიდავა, იბრძოლა, ეპიზოდურად საკუთარ თამაშში არსებული ქაოსიც კი დასძლია, მეტოქეს თითქმის საკუთარ კარში გაატანინა გოლი, მაგრამ სანუგეშო ცოტა დაგვიტოვა ზაფხულის ხვატში გამართულმა გუშინწინდელმა ჩემპიონთა ლიგის მეორე ეტაპის პირველმა მატჩმა. დანიელებს სამხრეთ აფრიკელი ზუმას იმედი ჰქონდათ, ჩვენ აშვეთიასი. გოლი ორივემ გაიტანა მერე ჩვენ რა? მეტოქემ სასურველი შედეგი მიიღო. ქართულ კლუბს კი მცირე შანსი აქვს, რომლის მისაღწევად ჩვენებურ ჩემპიონს არათუ ოფლის ღვრა, საკუთარ თავზე და დანიელებზე მაღლა ახტომა მოუწევს. შესწევს კი ამის ძალა ჩვენს ჩემპიონს, აიღებს დანიის დედაქალაქს ქართული ტორპედო? ომის მოსაგებად ერთი ბრძოლაც უნდა გადავიტანოთ. ყველას და ყველაფერს, უპირველესად საკუთარ თავს უნდა ვაჯობოთ, რომ ზემოთქმულზე აღარ ვიფიქროთ და ომახიანად განვაცხადოთ, ჩვენ ეს შევძლით წაგებული მოვიგეთ, ბედის ჩარხი წაღმა შევატრიალეთ!

**მიხეილ საბახტარიშვილი**

# სხვა მატჩები

***შახტარი (უკრაინა) — ლუგანო (შვეიცარია) 3-0***
ბახარევი (21), ტიმოშჩუკი (59), ვორობეი (66)
***ლევსკი (ბულგარეთი) — ბრანი (ნორვეგია) 0-0***
***სლავია (ბელორუსი) — ინტერი (სლოვაკეთი) 0-1***
კუნზო (43)
***სკონტო (ლიტვია) — ვისლა (პოლონეთი) 1-2***
0-1 გლოვაცკი (43), 1-1 კორლალიძე (78), 1-2 ზურავსკი (79 პენ)
***ომონია (კვიპროსი) — ცრვენა ზვეზდა (იუგოსლავია) 1-1***
0-1 პიანოვიჩი (26), 1-1 ტიბაუტი (69)
***ფერენცვაროში (უნგრეთი) — ჰაიდუკი (ხორვატია) 0-0***
***გალათასარაი (თურქეთი) — ვლაზნია (ალბანეთი) 2-0***
უმითი (17), სუათი (88)
***სტიაუა (რუმინეთი) — სლოგა იუგომაგნატი (მაკედონია) 3-0***
კალინი (4), რადუკანუ (18) ტრიკა (78)
***ანდერლეხტი (ბელგია) — შერიფი (მოლდოვა) 4-0***
კრასონი (19), დე ბოეკი (43, 69), კრასონი (80)
***მარიბორი (სლოვენია) — რეინჯერსი (შოტლანდია) 0-3***
ფლო (39), ნერლინგერი (56), ფლო (74 პენ)
***ბოჰემიანსი (ირლანდია) — ჰალმსტადი (შვედეთი) 1-2***
1-0 კროუი (24), 1-1 იონსონი (31 პენ), 1-2 სელაკოვიჩი (55)
***პორტუ (პორტუგალია) — ბერი თაუნი (უელსი) 8-0***
პენია (12), დეკუ (22 პენ, 23 პენ), სედერსტრომი (42), დეკუ (44), პენია (53,54, 73).

**უეფას თასი**

# ქართველები ანდორაში

9 აგვისტოს იწყება უეფას თასის გათამაშება. ქართული კლუბები თბილისის „დინამო" და „ლოკომოტივი" საკვალიფიკაციო ეტაპიდან ჩაებმებიან ტურნირში. აღსანიშნავია, რომ საქართველო უეფას თასზე მხოლოდ კლუბებით არ იქნება წარმოდგენილი. ჩვენი მსაჯები ამ ეტაპზე ერთ-ერთ შეხვედრას მოემსახურებიან. ცეროდენა ქვეყნის, ანდორის გუნდი „სანტა კოლომა" იუგოსლავიურ „პარტიზანს" უმასპინძლებს. მატჩის მთავარი არბიტრი სერგო კვარაცხელია იქნება, მას ასისტენტობას გაუწევენ ავთანდილ სამხარაძე და იოსებ შალამბერიძე, მეოთხე მსაჯი ალექსანდრე შილაკაძეა.

# ინტერტოტოს თასი


*გენტი – პსჟ*

**ნახევარფინალური ეტაპი, პირველი მატჩები**

მიუნხენი 1860 (გერმანია) — ნიუკასლი (ინგლისი) 2-3
ბაზელი (შვეიცარია) — ლოზანა (შვეიცარია) 3-0
ტრუა (საფრანგეთი) — ვოლფსბურგი (გერმანია) 1-0
ბლშანი (ჩეხეთი) — ბრეშა (იტალია) 1-2
გენტი (ბელგია) — პსჟ (საფრანგეთი) 0-0
რენი (საფრანგეთი) — ასტონ ვილა (ინგლისი) 2-1.

**საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია ღრმა მწუხარებას გამოთქვამს ეროვნული კატეგორიის მსაჯის**
**შალვა ბერიძის**
**გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.**

**სფფ-ს სამსაჯო-საინსპექტორო კომიტეტი მწუხარებას გამოთქვამს კოლეგის, ეროვნული კატეგორიის მსაჯის**
**შალვა ბერიძის**
**გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.**

ეროვნული ბიბლიოთეკა



# დაუვიწყარი შეხვედრა ფეხბურთის დიდოსტატთან

60-იანი წლები ქართული სპორტის ოქროს ხანაა. განსაკუთრებით არნახული პოპულარობით სარგებლობდნენ ფეხბურთელები და კალათბურთელები. ეს ადვილი გასაგებია. 1962 წელს თბილისის „დინამოს" კალათბურთელებმა ჟენევაში ევროპის ჩემპიონთა თასი მოიპოვეს, ხოლო მათმა თანაკლუბელმა ფეხბურთელებმა 1964 წლის 18 ნოემბერს ისტორიაში პირველად დაიპყრეს საბჭოთა კავშირის საფეხბურთო ოლიმპი და ჩემპიონის ოქროს მედლებს დაეუფლნენ. არანაკლებ დიდი წარმატებები იყო სპორტის სხვა სახეობებში: ხელბურთში, წყალბურთში, ჭიდაობაში, ტანვარჯიშში, მაგრამ ამაზე საუბარი შორს წაგვიყვანს.

ჩვენთვის, ბავშვებისათვის, დინამოელი ფეხბურთელები და კალათბურთელები პირდაპირ ღმერთები იყვნენ. გული მტკივა, დღეს ბავშვები ქუჩაში რივალდოს, კლუივერტს, ბეკჰემს, მალდინის, ფიგუს, ზიდანს, ჯორდანს რომ „თამაშობენ". მომიტევეთ ნოსტალგიისთვის, მაგრამ ჩვენს დროს, ასე არ იყო და კერპების განსახიერებისათვის შორს წასვლა არ გვიხდებოდა. ისინი აქვე იყვნენ: ბასა, მიშა, სლავა, სიომა, შოთა, ჟორა, სერგო, გივი, „პტიცა", „კაპუსტა", მოსე, საკო, მიშა და სხვები. ასარჩევი მართლაც ბევრი გვქონდა, თუმცა, უნდა ვაღიაროთ, რომ მსოფლიო სპორტზე ასეთი დიდი ინფორმაცია მაშინ არ იყო, როგორც ეს დღესაა.

შორეული, ტკბილადმოსაგონარი, ჩემი ერთ-ერთი უსაყვარლესი ფეხბურთელი იყო ვლადიმერ ბარქაია, რომელსაც გულშემატკივარი „სიომას" მეტსახელით იცნობდა. მის თამაშს იშვიათი ხიბლი ჰქონდა. ბარქაია თავისი საფეხბურთო ინტელექტით, თანდათანობით გიპყრობდა და შეიძლება ითქვას, დღევანდელი გადასახედიდან, უფრო უკეთესად აღვიქვამ მის ღირსებას, ვიდრე იმ შორეულ ბავშვობაში, როდესაც ეს სიმპათია ჩაისახა. მას სავსებით სამართლიანად უწოდებდნენ „ფეხბურთის სტრატეგს".

ვლადიმერ ბარქაია შემთხვევით არ გამიხსენებია. სასიამოვნო მოგონებად დარჩება 1999 წლის 30 ოქტომბერი. ეს იყო ერთი ჩვეულებრივი დღე. მივდიოდი უნივერსიტეტში, უნდა წავსულიყავით უეცრად გარდაცვლილი ჩემი კოლეგის პროფესორ გულივერ იობაშვილის დაკრძალვაზე. მეტრო „ვაგზლის მოედნის" ბაქანზე ვიდექი და მატარებელს ველოდებოდი. უცებ შემოვიდა ჭაღარა მამაკაცი და იქვე დადგა. მორიდებით მივუახლოვდი და ვუთხარი, რომ ძალზე ნაცნობი სახე ჰქონდა. არ ვცდებოდი. ჩემს წინ ჩემი ბავშვობის კერპი, თბილისის „დინამოს" ლეგენდარული მარჯვენა შუამარბი და ცენტრფორვარდი ვლადიმერ ბარქაია იდგა. მან ერთგვარად გულდაწყვეტილმა მითხრა, რომ „ერთ დროს კი ვიყავი ცნობილიო" და შემდეგ გავიხსენეთ ის „ერთი დრო", როდესაც მისი სახელი ჰქუხდა. მე, სკოლის მოსწავლე გაფაციცებით ვადევნებდი თვალს მის და მისი თანაგუნდელების თამაშს. ჩვენი სიყვარულიც იქიდან იწყებოდა. ვიხსენებდით იმ საუკეთესო წლებს. ის მარჯანიშვილზე ჩამოვიდა. დავემშვიდობეთ ერთმანეთს. ეს რამდენიმე წუთი ჩემი მეხსიერებიდან არასოდეს ამოიშლება.

ვლადიმერ ბარქაია „დინამოს" ერთ-ერთი ყველაზე საზრიანი მოთამაშე იყო. „ნათელი ტაქტიკური ტალანტის ფეხბურთელი, პარტნიორის დიდი შეგრძნება და შესანიშნავი პასი შეხამებული ჰქონდა უმაღლეს ტექნიკასთან, რაც მას ხდიდა საშიშ ძალად არა მარტო გუნდურ, არამედ ინდივიდუალურ თამაშშიც". აი ასე ახასიათებდნენ ვ. ბარქაიას თამაშს სპეციალისტები და ჟურნალისტები. ქართული ფეხბურთის ამაგდარი ნოდარ ახალკაცი ამბობდა: „ვლადიმერ ბარქაია ისეთ ფეხბურთს თამაშობდა, როგორსაც ასი წლის შემდეგ ითამაშებენო". ამაზე უკეთესი ქება გინდათ კიდევ? ვლადიმერ ბარქაია ინტელექტუალური ფეხბურთის ერთ-ერთი საუკეთესო წარმომადგენელი იყო.

მის სახელთანაა დაკავშირებული რამდენიმე მატჩი, რომელსაც დავიწყება არასოდეს უწერია. პირველ ყოვლისა, რა ქმა უნდა, ეს არის ორი მატჩი მოსკოვში 1959 წელს ჯერ „სპარტაკთან", სადაც მან „ჰეთ-თრიკი" შეასრულა, ხოლო შემდეგ მოსკოვის „დინამოსთან", რომლის კარშიც ორი ულამაზესი გოლი გაიტანა. ცხადი შეიქმნა, რომ „დინამოში" მოვიდა უაღრესად მაღალი კლასის ფეხბურთელი, რომელიც ანგარიშგასაწევი ძალა იყო.

განსაკუთრებული ადგილი უკავია ვლადიმერ ბარქაიას სპორტულ ბიოგრაფიაში 1960 წლის 31 ოქტომბრის მატჩს მოსკოვის ლუჟნიკის სტადიონზე გამართულ, დაუვიწყარ და დრამატული თასის ფინალურ მატჩს. ამ შეხვედრაში ვ. ბარქაიას ბრწყინვალე თამაში ოქროს ასოებით ჩაიწერება ქართული ფეხბურთის მატიანეში და როგორც ლეგენდა, ისე გადაეცემა შემდეგ თაობებს.

არასოდეს დამავიწყდება ვ. ბარქაიას თამაში მოსკოვის „სპარტაკის" წინააღმდეგ 1962 წელს ვაკეში მაშინდელი „ბურევესტნიკის" სტადიონზე. „დინამომ" ის სეზონი ძალზე უხეიროდ დაიწყო. ამას ჰქონდა ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზები. სეზონის პირველ მატჩებში ვ. ბარქაია ტრავმის გამო არ მონაწილეობდა და იმ დღეს პირველად გამოვიდა მინდორზე. მატჩი მან დიდებულად ჩაატარა. გოლი გაიტანა და „დინამოს" ლიდერის როლში მოგვევლინა. იმ სეზონში ვ. ბარქაიამ კიდევ ერთხელ დაგვამახსოვრა თავი, როდესაც ბრწყინვალედ ითამაშა მოსკოვის „დინამოს" წინააღმდეგ თბილისში და ლეგენდარული ლევ იაშინის კარში საუცხოო გოლი გაიტანა.

ჩინებულად ჩაატარა ვ. ბარქაიამ 1963 წლის სეზონის შეხვედრა მოსკოვის „სპარტაკთან" თბილისში და გადამწყვეტი გოლი გაიტანა და „დინამოს" შეტევის სული და გული, მთავარი ორგანიზატორი იყო.

სტატისტიკოსები რატომღაც სლავა მეტრეველს მიაწერენ 1963 წლის 23 აგვისტოს დონეცკის „შახტიორის" კარში გატანილ გოლს. იმ მატჩს ვესწრებოდი. აგვისტოს ხვატში აღმოსავლეთის ტრიბუნაზე ვიჯექი. „დინამო" ზოლიან მაისურებში თამაშობდა. მატჩი ძალზე დაძაბული გამოდგა. ანგარიში სტუმრებმა გახსნეს. მასპინძლებმა ტემპს მოუმატეს და საჯარიმო მოედანს მიაჯაჭვეს მეტოქე. თბილისელთა კაპიტანმა შოთა იამანიძემ ვერ გამოიყენა პენალტი. დაძაბულობა კულმინაციურ წერტილს აღწევდა. თამაშის დამთავრებამდე ხუთი წუთით ადრე ბარქაიამ ულამაზესი გოლი შეაგდო სტუმართა კარში, ხოლო მატჩის უკანასკნელ წუთზე გივი ჩოხელმა გადამწყვეტი გოლი გაიტანა.

ვლადიმერ ბარქაიამ თავი დაგვამახსოვრა არა მარტო ლამაზი გოლებით, არამედ მახვილგონივრული კომბინაციური თამაშით. ეშმაკი ფეხბურთელი იყო. ამის საილუსტრაციოდ საკმარისია გავიხსენოთ ერთი ეპიზოდი 1964 წლის მოსკოვის „დინამოსთან" მატჩიდან. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ბარქაიას რეიდი და მანევრი 24-ე წუთზე ტაქტიკური და ტექნიკური ოსტატობის კლასიკური მაგალითი იყო. იმ სეზონის შეხვედრებიდან შეიძლება გამოვყოთ მისი თამაში მოსკოვის ცსკა-სთან, არმიელთა კარში ორი გოლი გაიტანა და აუტსაიდერ კიშინიოვის „მოლდოვასთან" დაძაბული შეხვედრა, სადაც ერთადერთი გოლი სწორედ ვ. ბარქაიამ გაიტანა.

1965 წლის სეზონი ვ. ბარქაიას სპორტულ ბიოგრაფიაში გედის სიმღერა აღმოჩნდა. მან სეზონი ბრწყინვალედ დაიწყო. თავად განსაჯეთ, ოდნავ დაგვიანებით, მაგრამ მაინც მიიწვიეს საბჭოთა კავშირის ნაკრების შემადგენლობაში (ეს უნდა მომხდარიყო სეზონის დასაწყისშივე, მაგრამ არმიელი ბ. კაზაკოვი არჩიეს). ორ შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა. დანიის ნაკრებთან მატჩში, ორი გოლიც გაიტანა და ერთი კვირის შემდეგ ლეგენდარული ბრაზილიელების წინააღმდეგ ითამაშა.

არასოდეს დამავიწყდება 1965 წლის საბჭოთა კავშირის თასის მერვედფინალი მოსკოვში ცსკას, ხოლო შემდეგ ნახევარფინალი მინსკის „დინამოსთან". კერძოდ, ვ. ბარქაიას მიერ მოჭრილი დარტყმით გატანილი ორი ულამაზესი გოლი. ახლა ამით ვერავის გააკვირვებ, მაშინ კი უცხო ხილი იყო. 1966 წელს შუა სეზონში ტრავმა მიიღო და მომდევნო წელს საბოლოოდ დატოვა მინდორი. კარგად მახსოვს მისი გაცილება დიდი ფეხბურთიდან 1967 წლის 23 მაისს კიევის „დინამოსთან" მატჩში, მაგრამ ამის შემდეგ კიდევ ერთხელ მოასწრო მან მინდორზე გაბრწყინება. ეს მოხდა 1968 წლის მიწურულს — ორ საერთაშორისო მატჩში მიიღო მონაწილეობა და ოთხი გოლი გაიტანა.

სინანულის გრძნობა მეუფლება, რომ დიდი ფეხბურთიდან ის ადრე წავიდა, რომ გამოცდილი ვლადიმერ ბარქაიას თამაშს დღევანდელი გულშემატკივარი ვერ მოესწრო. ეს რა სიამოვნება და ტკბობა იქნებოდა.

ჩემო სიომა, ულრმესი მადლობა იმ დიდი სიამოვნებისათვის, რომელსაც შენი ჭკვიანური თამაში ჰგვრიდა მრავალრიცხოვან გულშემატკივარს, მათ შორის, ამ სტრიქონების ავტორსაც.

**მერაბ კალანდაძე**





## ლობანოვსკი ნაკრებში თუ „დინამოში"?

**როგორც კი ჩამთავრდება ფეხბურთში 2002 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ციკლი, ცნობილ უკრაინელ მწვრთნელს არჩევანის გაკეთება მოუწევს — ან ეროვნულ ნაკრებში უნდა დარჩეს, ან „დინამოში".**

**დინამოელთა კლუბის პირველი ვიცე-პრეზიდენტი იგორ სურკისი: „ლობანოვსკის ერთდროული მუშაობა კლუბში და ნაკრებში, ორივე გუნდის ინტერესებისთვის საზიანოა. მე მჯერა, რომ დიდი მწვრთნელი არჩევანს „დინამოზე" შეაჩერებს და ნაკრებს მემკვიდრეს გადაულოცავს".**

**შეგახსენებთ, რომ ლობანოვსკი შეთავსებით ორ გუნდში შარშანდელი წლის დასაწყისიდან მუშაობს.**

## დოპინგის წინააღმდეგ ბრძოლა რუმინულად

რუმინეთის ორი ფეხბურთელი — 22 წლის თავდამსხმელი ანდრიან ნიაგა („სტიაუა") და სათადარიგო მეკარე კრისტიან ბუტურუგი („არდეში") მხილებულია დოპინგი მიღებაში. რუმინეთის ფეხბურთის ფედერაციამ უცნაური გადაწყვეტილება მიიღო და ორივე ფეხბურთელი პრაქტიკულად გაამართლა. დასაჯეს მხოლოდ „არდეშის" სამედიცინო პერსონალი, კლუბი 5 ათასი დოლარით დააჯარიმეს. ამ ფაქტთან დაკავშირებით რუმინეთის პრესამ გუშინ რისხვა დაატეხა ფედერაციას. პრესა ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ფედერაციამ ახალი ლოკალური გადაწყვეტილებით, კიდევ ერთი დარტყმა მიაყენა რუმინულ ფეხბურთს მსოფლიოში.

# საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

## ჭკუას ასწავლიან

**ორი დადგენილება მიიღეს ესპანეთში: ყალბი პასპორტების გამოყენებისათვის „ტენერიფეს" ბრაზილიელი თავდამსხმელი ბარატა ერთი წლით არის დისკვალიფიცირებული. იოლად გადარჩა „ალავესის" მეკარე, არგენტინელი ერერა — იგი მხოლოდ ერთი თვით დაისაჯა. ფეხბურთელებს შეუძლიათ 10 დღის მანძილზე გაასაჩივრონ ეს გადაწყვეტილება.**

## გაკოტრების საფრთხე

იტალიური პრესის ცნობით, თუ „ფიორენტინამ" 15 სექტემბრამდე არ წარადგინა თავისი ფინანსური ქმედითუნარიანობის დამამტკიცებელი სრული გარანტიის ამსახველი დოკუმენტები, მის მიმართ დაიწყება გაკოტრების პროცედურა.

რა კლუბი იღუპება! ამიტომაც არის, რომ მას ასე სწრაფად ტოვებენ წამყვანი მოთამაშეები.

## ჟორჟ ვეამ დათმო

**როგორც ჟორჟ ვეამ განაცხადა, მან გადაწყვიტა დაივიწყოს ყოველგვარი ის შეურაცხყოფა, რომელიც მას ასე დაუმსახურებლად მიაყენეს ლიბერიელმა გულშემატკივრებმა და განაგრძობს გამოსვლებს ლიბერიის ნაკრებში. ასეთი გადაწყვეტილება განთქმულმა ფეხბურთელმა მიიღო ქვეყნის პრეზიდენტ ჩარლზ ტეილორთან ხანგრძლივი საუბრის შემდეგ.**

## აკპობორი უჩივის... გაეროს!

როგორც გერმანულ „ვოლფსბურგის" ყოფილმა თავდამსხმელმა, ნიგერიის ნაკრების ფეხბურთელმა ჯონათან აკპობორიმ განაცხადა, მას არნახული შეურაცხყოფა მიაყენეს, როცა ბრალად დასდეს მონებით ვაჭრობა. აკპობორს აბრალებდნენ, რომ მისი კუთვნილი გემით პატარა ბავშვები აფრიკიდან ამერიკაში გადაჰყავდათ და იქ ყიდდნენ. ამით ფეხბურთელს დიდი მატერიალური და მორალური ზიანი მიაყენეს.

ახლა აკპობორი აპირებს უჩივლოს გაეროს საბავშვო ფონდს (იუნისეფს). მან მოაგროვა უამრავი დოკუმენტი, რომელიც მის სრულ უდანაშაულობას ამტკიცებს. თვით ნიგერიელი შვეიცარიულ „ბაზელში" გააგრძელებს თამაშს.

## ეფენბერგსაც კი შეელევა

**მიუნხენის „ბაიერნის" მწვრთნელ ოტმარ ჰიტცფელდს აქამდეც არაერთი უსიამოვნო დაპირისპირება ჰქონდა გუნდის კაპიტან შტეფან ეფენბერგთან, რომელიც საკმაოდ ურჩ ფეხბურთელად ითვლება და ავტორიტეტებს არ აღიარებს.**

**ახლა ჰიტცფელდმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ ეფენბერგმა შეიძლება ამ ზაფხულშივე დასტოვოს „ბაიერნი", თუკი მოხერხდა ამ მოკლე ხანში ნაკრების ფეხბურთელების მიხაელ ბალაკისა (ლევერკუზენის „ბაიერი") და სებასტიან დაისლერის (ბერლინის „ჰერტა") ყიდვა.**

## კლუივერტი რჩება

პატრიკ კლუივერტმა კიდევ 4 წლით გააგრძელა თავისი კონტრაქტი „ბარსელონასთან". მის გადაბირებას ცდილობდნენ „რეალი", „ჩელსი", „ინტერი", „ლივერპული", „ტოტენჰემი" და „მანჩესტერიც". კონტრაქტზე ხელმოწერა იმას ნიშნავს, რომ კლუივერტი რჩება „ბარსაში", რივალდო კი შეიძლება გაყიდონ თუნდაც იმ მიზეზით, რომ თავის ვებსაიტში გამოაქვეყნა წერილი, რომელშიც უკმაყოფილებას გამოხატავს თავისი ანაზღაურებით „ბარსაში".

## „ატლეტიკოს" სიმბოლო ტოვებს?

**თავდამსხმელი კიკო, რომელიც მადრიდის „ატლეტიკოს" სიმბოლოდ ითვლება, მისი ლიდერი მთელი წლის განმავლობაში იყო. მან კლუბი მაშინაც არ მიუტოვებია, როცა მადრიდელებმა „პრიმიერა-დივიზიონი" დატოვეს. 2000-2001 წლების სეზონში „ატლეტიკომ" უმაღლეს ლიგაში დაბრუნება ვერ მოახერხა. რადგან ამის დიდი იმედი კიკოს, შეიძლება ითქვას, არც ახლა აქვს, მან გადაწყვიტა საერთოდ გამოეთხოვოს კლუბს და როგორც ფიქრობენ, ინგლისურ „ნიუკასლ იუნაიტედში" გადავა.**

# საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

ეროვნული ბიბლიოთეკა

COPA AMERICA
COLOMBIA 2001

# მექსიკა ფინალშია




მექსიკა — ურუგვაი

გაიმართა „კოპა ‑ამერიკას" თასის გათამაშების პირველი ნახევარფინალური შეხვედრა, ურუგვაისა და მექსიკის ნაკრებებს შორის. ფეხბურთს ამ მატჩში მხოლოდ პირველ ნახევარში თამაშობდნენ. მე-14 წუთზე მექსიკელმა ბორგეტიმ საჯარიმო მოედნის ხაზიდან ზუსტი დარტყმით გახსნა ანგარიში, ხოლო 32-ე წუთზე რიკარდო მორალესმა თავურით გაქვითა ეს გოლი. ამის შემდეგ ურუგვაელებმა უხეშობა დაიწყეს. პირველი ნახევრის ბოლო წუთზე კარლოს მორალესი კარატეს ილეთით გაუმასპინძლდა ტორადოს, რისთვისაც დაუყოვნებლივ გააძევეს მოედნიდან. მეორე ნახევარში ურუგვაელები ყრუ დაცვაში „ჩაჯდნენ", მაგრამ შეხვედრის 68-ე წუთზე მათ კარში ინიშნება 11—მეტრიანი, რომელიც ჩინებულად გამოიყენა მექსიკელთა ნაკრებში ორი წლის შესვენების შემდეგ დაბრუნებულმა გარსია ასპემ. მატჩის დამთავრებამდე 4 წუთით ადრე გარსია ასპე იმსახურებს უკვე მეორე გაფრთხილებას და მანაც დატოვა მინდორი. ურუგვაელები დარჩენილ დროში ვერაფერს გახდნენ. შეხვედრის მიწურულს კი მსაჯმა მოედნიდან გააძევა ურუგვაელი ოლივერა და მექსიკელი ვიდრიო.

ამრიგად, მექსიკის ნაკრებმა მოიგო შეხვედრა 2-1 და გავიდა „კოპა ამერიკას" თასის ფინალში.

***მექსიკა — ურუგვაი 2-1***
1-0 ბორგეტი (14), 1-1 რ. მორალესი (32),
2-1 გარსია ასპე (67 პენ).

## ნორვეგიის თასი
### 1/8 ფინალი

ბოდო გლიმტი — ვიკინგი 1-3
ბრინი — მოლდე 3-2
ჰოდი — ოდ გრენლანდი 0-1
ლილესტრიომი — სტრიომგოდსეტი 5-1
სოგნდალი — სტარტი 2-1 (დ.დ.)
ტრომსიო — სტაბეკი 2-0
ვოლერენგა — მოსი 2-0

## თქვენთვის, ერუდიტებო!

***1. რამდენი გოლი გაიტანა პელემ 1958 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ სტადიაში.***
ა) 7
ბ) 6
გ) 8

***2. რომელმა ფეხბურთელმა ვერ გამოიყენა „პენალტი" 1982 წლის ფინალურ შეხვედრაში (იტალია — გფრ 3-1):***
ა) ტარდელი
ბ) როსი
გ) კაბრინი

***3. ვინ გაიტანა გადამწყვეტი ბურთი 1974 წლის ფინალურ შეხვედრაში (გფრ — ჰოლანდია 2-1):***
ა) მიულერი
ბ) ჰიონესი
გ) გრამოვსკი

***4. ვინ იყო 1974 წლის მსოფლიო ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი:***
ა) ლიატო
ბ) მიულერი
გ) რესენბრინკი

***5. ვინ იყო 1962 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური მატჩის მთავარი მსაჯი. (ბრაზილია — ჩეხოსლოვაკია 3-1):***
ა) ჰორნი (ჰოლანდია)
ბ) ლატიშევი (სსრკ)
გ) დევიდსონი (შოტლანდია)

წინა ნომრის პასუხები:
1 — ბ, 2 — გ, 3 — ა, 4 — ა, 5 — ბ.


ბელგია — პოლონეთი


იუგოსლავია — ფინეთი

## ივიჩმა დატოვა „ოლიმპიკი"


ივიჩი

**ხორვატმა მწვრთნელმა ტომისლავ ივიჩმა დატოვა მარსელის „ოლიმპიკი" პირადი მიზეზით. გუნდის განცხადებაში ნათქვამია: „იმის გამო, რომ ივიჩმა პირადი მიზეზით დატოვა გუნდი, მარსელის „ოლიმპიკის" დირექტორატმა გადაწყვიტა მწვრთნელის მოვალეობა დააკისროს მის თანაშემწეს ჟოზე ანიგოს, რომელმაც მიიღო ბერნარ ტაპის წინადადება და უკვე ჩაატარა პირველი ვარჯიში".**

**ივიჩმა გუნდი ჩაიბარა 20 აპრილს ტაპის თხოვნით და ამ თანამდებობაზე მან შეცვალა ესპანელი კლემენტე.**

## ჩემპიონატები, მატჩები

### ავსტრია

ზალცბურგი — ტიროლი 0-0
კერნტენი — რაპიდი 3-0
ბრეგენცი — რიდი 0-3
გრაცერი — ადმირა 3-0
ავსტრია — შტურმი 1-1

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტიროლი | 3 | 2 | 1 | 0 | 7-0 | 7 |
| რიდი | 3 | 2 | 1 | 0 | 7-3 | 7 |
| კერნტენი | 3 | 2 | 0 | 1 | 5-2 | 6 |
| გრაცერი | 3 | 2 | 0 | 1 | 6-4 | 6 |
| რაპიდი | 3 | 1 | 1 | 1 | 5-6 | 4 |
| შტურმი | 3 | 1 | 1 | 1 | 3-4 | 4 |
| ბრეგენცი | 3 | 1 | 0 | 2 | 1-8 | 3 |
| ავსტრია | 3 | 0 | 2 | 1 | 3-4 | 2 |
| ზალცბურგი | 3 | 0 | 2 | 1 | 0-1 | 2 |
| ადმირა | 3 | 0 | 0 | 3 | 0-5 | 0 |

## იუნიორთა ევროპის ჩემპიონატი

გაიმართა A ჯგუფის დასკვნითი შეხვედრები. გამოვლინდა პირველი ფინალისტი — ჩეხეთის ნაკრები, ხოლო იუგოსლავიის ნაკრები მესამე ადგილისათვის შეხვდება B ჯგუფის მეორეადგილოსანს.

### A ჯგუფი

იუგოსლავია — ფინეთი 8-4
ჩეხეთი — უკრაინა 3-2

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჩეხეთი | 3 | 3 | 0 | 0 | 8-3 | 9 |
| იუგოსლავია | 3 | 2 | 0 | 1 | 10-6 | 6 |
| უკრაინა | 3 | 0 | 1 | 2 | 4-6 | 1 |
| ფინეთი | 3 | 0 | 1 | 2 | 6-13 | 1 |

### B ჯგუფი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პოლონეთი | 2 | 1 | 1 | 0 | 5-2 | 4 |
| ბელგია | 2 | 1 | 1 | 0 | 3-1 | 4 |
| ესპანეთი | 2 | 1 | 0 | 1 | 2-4 | 3 |
| დანია | 2 | 0 | 0 | 2 | 0-3 | 0 |

## საფრანგეთის 2001–2002 წლების გათამაშების კალენდარი

***I ტური (28 ივლისი)***
ბასტია — სედანი
ბორდო — ნანტი
ლანსი — ლიონი
ლორიენი — მეცი
მონაკო — სოშო
მონპელიე — მარსელი
პსჟ — ლილი
რენი — ოსერი
ტრუა — გინგამი

***II ტური (4 აგვისტო)***
ოსერი — პსჟ
გინგამი — ბასტია
ლილი — ლორიენი
ლიონი — სედანი
მარსელი — ბორდო
მეცი — ტრუა
მონაკო — მონპელიე
ნანტი — ლანსი
სოშო — რენი

***III ტური (11 აგვისტო)***
ბასტია — ლიონი
ბორდო — ლილი
ლანსი — მარსელი
ლორიენი — ოსერი
მონპელიე — მეცი
პსჟ — სოშო
რენი — მონაკო
სედანი — გინგამი
ტრუა — ნანტი

***IV ტური (18 აგვისტო)***
ოსერი — სედანი
ლილი — მონპელიე
ლიონი — გინგამი
მარსელი — ტრუა
მეცი — ლანსი
მონაკო — პსჟ
ნანტი — ბასტია
რენი — ბორდო
სოშო — ლორიენი

***V ტური (25 აგვისტო)***
ბასტია — მარსელი
ბორდო — ოსერი
გინგამი — ნანტი
ლანსი — ლილი
ლორიენი — მონაკო
მონპელიე — სოშო
პსჟ — რენი
სედანი — მეცი
ტრუა — ლიონი

***VI ტური (8 სექტემბერი)***
ოსერი — მონპელიე
ლილი — გინგამი
მარსელი — ლიონი
მეცი — ბასტია
მონაკო — ტრუა
ნანტი — სედანი
პსჟ — ლანსი
რენი — ლორიენი
სოშო — ბორდო

***VII ტური (15 სექტემბერი)***
ბასტია — ოსერი
ბორდო — მონაკო
გინგამი — მეცი
ლანსი — სოშო
ლორიენი — პსჟ
ლიონი — ნანტი
მონპელიე — რენი
სედანი — მარსელი
ტრუა — ლილი

***VIII ტური (22 სექტემბერი)***
ოსერი — გინგამი
ლილი — ბასტია
ლორიენი — ბორდო
მარსელი — ნანტი
მეცი — ლიონი
მონაკო — ლანსი
პსჟ — მონპელიე
რენი — ტრუა
სოშო — სედანი

***IX ტური (29 სექტემბერი)***
ბასტია — მონაკო
ბორდო — პსჟ
გინგამი — მარსელი
ლანსი — ოსერი
ლიონი — რენი
მონპელიე — ლორიენი
ნანტი — მეცი
სედანი — ლილი
ტრუა — სოშო

***X ტური (10 ოქტომბერი)***
ოსერი — ტრუა
ლილი — ნანტი
ლორიენი — ლანსი
მეცი — მარსელი
მონაკო — სედანი
მონპელიე — ბორდო
პსჟ — ლიონი
რენი — გინგამი
სოშო — ბასტია

***XI ტური (20 ოქტომბერი)***
ბასტია — რენი
ბორდო — მეცი
გინგამი — მონაკო
ლანსი — მონპელიე
ლიონი — სოშო
მარსელი — ლილი
ნანტი — ოსერი
სედანი — პსჟ
ტრუა — ლორიენი

***XII ტური (27 ოქტომბერი)***
ოსერი — მარსელი
ბორდო — სედანი
ლილი — მეცი
ლორიენი — გინგამი
მონაკო — ლიონი
მონპელიე — ტრუა
პსჟ — ბასტია
რენი — ლანსი
სოშო — ნანტი

***XIII ტური (3 ნოემბერი)***
ბასტია — ლორიენი
გინგამი — სოშო
ლანსი — ბორდო
ლიონი — ლილი
მარსელი — რენი
მეცი — ოსერი
ნანტი — მონაკო
სედანი — მონპელიე
ტრუა — პსჟ

***XIV ტური (17 ნოემბერი)***
ოსერი — ლილი
ბორდო — ტრუა
ლანსი — სედანი
ლორიენი — ლიონი
მონაკო — მარსელი
მონპელიე — ბასტია
პსჟ — გინგამი
რენი — ნანტი
სოშო — მეცი

***XV ტური (24 ნოემბერი)***
ბასტია — ბორდო
გინგამი — მონპელიე
ლილი — რენი
ლიონი — ოსერი
მარსელი — სოშო
მეცი — მონაკო
ნანტი — პსჟ
სედანი — ლორიენი
ტრუა — ლანსი

***XVI ტური (28 ნოემბერი)***
ბორდო — გინგამი
ლანსი — ბასტია
ლორიენი — ნანტი
მონაკო — ლილი
მონპელიე — ლიონი
პსჟ — მარსელი
რენი — მეცი
სოშო — ოსერი
ტრუა — სედანი

***XVII ტური (8 დეკემბერი)***
ოსერი — მონაკო
ბასტია — ტრუა
გინგამი — ლანსი
ლილი — სოშო
ლიონი — ბორდო
მარსელი — ლორიენი
მეცი — პსჟ
ნანტი — მონპელიე
სედანი — რენი

**მეორე წრე**

***XVIII ტური (19 დეკემბერი)***
ბასტია — გინგამი
ბორდო — მარსელი
ლანსი — ნანტი
ლორიენი — ლილი
მონპელიე — მონაკო
პსჟ — ოსერი
რენი — სოშო
სედანი — ლიონი
ტრუა — მეცი

***XIX ტური (22 დეკემბერი)***
ოსერი — ლორიენი
გინგამი — სედანი
ლილი — ბორდო
ლიონი — ბასტია
მარსელი — ლანსი
მეცი — მონპელიე
მონაკო — რენი
ნანტი — ტრუა
სოშო — პსჟ

***XX ტური (5 იანვარი. 2002 წ.)***
ბასტია — ნანტი
ბორდო — რენი
გინგამი — ლიონი
ლანსი — მეცი
ლორიენი — სოშო
მონპელიე — ლილი
პსჟ — მონაკო
სედანი — ოსერი
ტრუა — მარსელი

***XXI ტური (12 იანვარი)***
ოსერი — ბორდო
ლილი — ლანსი
ლიონი — ტრუა
მარსელი — ბასტია
მეცი — სედანი
მონაკო — ლორიენი
ნანტი — გინგამი
რენი — პსჟ
სოშო — მონპელიე

***XXII ტური (26 იანვარი)***
ბასტია — მეცი
ბორდო — სოშო
გინგამი — ლილი
ლანსი — პსჟ
ლორიენი — რენი
ლიონი — მარსელი
მონპელიე — ოსერი
სედანი — ნანტი
ტრუა — მონაკო

***XXIII ტური (30 იანვარი)***
ოსერი — ბასტია
ლილი — ტრუა
მარსელი — სედანი
მეცი — გინგამი
მონაკო — ბორდო
ნანტი — ლიონი
პსჟ — ლორიენი
რენი — მონპელიე
სოშო — ლანსი

***XXIV ტური (2 თებერვალი)***
ბასტია — ლილი
ბორდო — ლორიენი
გინგამი — ოსერი
ლანსი — მონაკო
ლიონი — მეცი
მონპელიე — პსჟ
ნანტი — მარსელი
სედანი — სოშო
ტრუა — რენი

***XXV ტური (6 თებერვალი)***
ოსერი — ლანსი
ლილი — სედანი
ლორიენი — მონპელიე
მარსელი — გინგამი
მეცი — ნანტი
მონაკო — ბასტია
პსჟ — ბორდო
რენი — ლიონი
სოშო — ტრუა

***XXVI ტური (16 თებერვალი)***
ბასტია — სოშო
ბორდო — მონპელიე
გინგამი — რენი
ლანსი — ლორიენი
ლიონი — პსჟ
მარსელი — მეცი
ნანტი — ლილი
სედანი — მონაკო
ტრუა — ოსერი

***XXVII ტური (23 თებერვალი)***
ოსერი— ნანტი
ლილი — მარსელი
ლორიენი — ტრუა
მეცი — ბორდო
მონაკო — გინგამი
მონპელიე — ლანსი
პსჟ — სედანი
რენი — ბასტია
სოშო — ლიონი

***XXVIII ტური (6 მარტი)***
ბასტია — პსჟ
გინგამი — ლორიენი
ლანსი — რენი
ლიონი — მონაკო
მარსელი — ოსერი
მეცი — ლილი
ნანტი — სოშო
სედანი — ბორდო
ტრუა — მონპელიე

***XXIX ტური (16 მარტი)***
ოსერი — მეცი
ბორდო — ლანსი
ლილი — ლიონი
ლორიენი — ბასტია
მონაკო — ნანტი
მონპელიე — სედანი
პსჟ — ტრუა
რენი — მარსელი
სოშო — გინგამი

***XXX ტური (23 მარტი)***
ბასტია — მონპელიე
გინგამი — პსჟ
ლილი — ოსერი
ლიონი — ლორიენი
მარსელი — მონაკო
მეცი — სოშო
ნანტი— რენი
სედანი — ლანსი
ტრუა — ბორდო

***XXXI ტური (6 აპრილი)***
ოსერი — ლიონი
ბორდო — ბასტია
ლანსი — ტრუა
ლორიენი — სედანი
მონაკო — მეცი
მონპელიე — გინგამი
პსჟ — ნანტი
რენი — ლილი
სოშო — მარსელი

***XXXII ტური (13 აპრილი)***
ოსერი — სოშო
ბასტია — ლანსი
გინგამი — ბორდო
ლილი — მონაკო
ლიონი — მონპელიე
მარსელი — პსჟ
მეცი — რენი
ნანტი — ლორიენი
სედანი — ტრუა

***XXXIII ტური (27 აპრილი)***
ბორდო — ლიონი
ლანსი — გინგამი
ლორიენი — მარსელი
მონაკო — ოსერი
მონპელიე — ნანტი
პსჟ — მეცი
რენი — სედანი
სოშო — ლილი
ტრუა — ბასტია

***XXXIV ტური (4 მაისი)***
ოსერი — რენი
გინგამი — ტრუა
ლილი — პსჟ
ლიონი — ლანსი
მარსელი — მონპელიე
მეცი — ლორიენი
ნანტი — ბორდო
სედანი — ბასტია
სოშო — მონაკო

# საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

## კუფურმა „ბაიერნთან" კონტრაქტი გააგრძელა

მიუნხენის „ბაიერნის" მცველმა სამუელ კუფურმა კიდევ 3 წლით გააგრძელა გუნდთან კონტრაქტი. 24 წლის განის ნაკრების კაპიტნის შეძენით დაინტერესებული იყვნენ რომის „ლაციო" და „რომა", მაგრამ მაღალმა სატრანსფერო თანხამ უარი ათქმევინა რომაელებს ამ ფეხბურთელის შეძენაზე. კუფური „ბაიერნში" 1944 წლიდანაა.

## რობერი – „ნიუკასლში"

პსჟ და „ნიუკასლმა" მიაღწიეს შეთანხმებას საფრანგეთის ნაკრებისა და პსჟ-ს ნახევარმცველის ლორან რო-



ბერის „ნიუკასლში" გადასვლასთან დაკავშირებით. ინგლისელთა წარმომადგენლები ჩავიდნენ მატჩის სანახავად ბელგიაში, სადაც პსჟ ხვდებოდა „გენტს". ამ შეხვედრის შემდეგ გუნდებმა მოილაპარაკეს სატრანსფერო თანხაზეც, რომელიც დაახლოებით 15 მილიონ დოლარს შეადგენს. ხელშეკრულება ორნახევ ·რ წლიანია. თავად ფეხბურთელი მიიღებს დაახლოებით 35000 დოლარს კვირაში.

## გულშემატკივრებმა საწვრთნელ ბაზას შეუტიეს

მილანის „ინტერის" ერთ-ერთი საწვრთნელი ვარჯიში კინაღამ ჩაშალეს გულშემატკივრებმა, რომლებსაც თვალში არ მოსდით თურქი ფეხბურთელები ჰაკან შუქური, ემრე ბელიზოღლუ და ოკან ბურუკი. მათ ამ მოთამაშეების მანქანებს შეუტიეს. საქმე ჰაკან შუქურისა და ერთ-ერთი ტიფოზის შეხლა-შემოხლამდეც კი მივიდა.

## ლიმიტი ამოწურულია

როგორც „მანჩესტერ იუნაიტედის" წარმომადგენელმა პეტერ კენიონმა განაცხადა, რუუდ ვან ნისტელროოისა და ხუან სებასტიან ვერონთან კონტრაქტებით დასრულდა ლიმიტი, რომელიც დაწესებული იყო ფეხბურთელების შესაძენად. ისე რომ, ფრანგ ბიქსანტ ლიზარაზიუს მიწვევის შესახებ ლაპარაკი უკვე აღარ არის.

## „ასტონ ვილა" საგრძნობლად განახლდება

„ასტონ ვილა" დატოვა და „მიდლსბროსთან" ოთხწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი ინგლისის ნაკრების ცნობილმა მცველმა 30 წლის გარეტ საუთგეიტმა. მის გარდა, „ასტონ ვილადან" წავიდა და ლონდონის „ვესტ ჰემ იუნაიტედთან" დადო ხელშეკრულება ინგლისის ნაკრების ერთ-ერთმა მეკარემ დევიდ ჯეიმსმა. ეს უკვე ბირმინგემელთა კლუბში განთქმულ დანიელ მეკარე პეტერ შმეიხელის მიწვევასთან არის დაკავშირებული.

## სამი მწვრთნელიღა დარჩა

მართლაც უცნაური ამბები მოხდა რუმინეთის უმაღლეს ლიგაში. იმ მწვრთნელებს შორის, რომლებიც 2000-2001 წლების ჩემპიონატში უმაღლესი ლიგის გუნდებს უძღვებოდნენ, ახლა თავისი ადგილი შეინარჩუნა... სამმა!

## ვან ჰოიდონკი – „ფეიენოორდში"

ჰოლანდიის ნაკრების თავდამსხმელი პიერ ვან ჰოიდონკი შარშანდელ სეზონში ლისაბონის „ბენფიკაში" გამოდიოდა. ახლა იგი როტერდამის „ფეიენოორდში" ჩაირიცხა და, რა თქმა უნდა, ნაკრების მწვრთნელ ლუის ვან გაალთანაც განაახლა კონტრაქტი.

## საკმაოდ შორეული გეგმებია

როგორც მიუნხენის „ბაიერნის" გენერალურმა დირექტორმა (მენეჯერმა) ული ჰიონესმა გერმანელ ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა, იგი შეეცდება, რომ მისი მემკვიდრე ამ თანამდებობაზე მეკარე ოლივერ კანი გახდეს.

აქ უნდა დავუმატოთ, რომ ჰიონესი უნდა გადადგეს ... 5 წლის შემდეგ! მასთან ერთად თანამდებობას დასტოვებს კლუბის პრეზიდენტი ფრანც ბეკენბაუერი, რომელსაც, როგორც ელიან, ახლანდელი ვიცე-პრეზიდენტი კარლჰაინც რუმენიგე შეცვლის.

## ლორან ბლანი სამშობლოში ბრუნდება

ლორან ბლანი მილანის „ინტერის" დატოვებას და მარსელის „ოლიმპიკში" თამაშს აპირებს, რომელთანაც ერთწლიან კონტრაქტს გააფორმებს.

ამასთან, აპირებენ ბლანის, როგორც მოქმედი ფეხბურთელის კარიერის დამთავრების შემდეგ „ოლიმპიკში" მის ერთ-ერთ მწვრთნელად დანიშვნას.

## პლატი ახალგაზრდებს უხელმძღვანელებს

ინგლისის ახალგაზრდული ნაკრების მთავარ მწვრთნელად დაინიშნა ახლო წარსულში კარგად ცნობილი ოსტატი დევიდ პლატი, რომელიც უკანასკნელ ხანებში პირველი დივიზიონის კლუბ „ნოტინგემ ფორესტს" ხელმძღვანელობდა.

## ვან დერ სარს არაფერი უჭირს

ჯანლუიჯი ბუფონის ყიდვის შემდეგ ტურინის „იუვენტუსმა" გასასხვისებელ მოთამაშეთა შორის ჰოლანდიელი მეკარე ედვინ ვან დერ სარიც დაასახელა. ეროვნული ნაკრების გოლკიპერს ახალი კლუბის პოვნა სულაც არ გასჭირვებია — მას დაუყოვნებლივ შესთავაზა კონტრაქტი ამსტერდამის „აიაქსმა" და, როგორც მიმომხილველები ფიქრობენ, ვან დერ სარი მიიღებს კიდეც ამ წინადადებას.





## „რეალის" ხელმძღვანელობის განცხადება

როგორც მადრიდის „რეალის" ხელმძღვანელობამ გამოაცხადა, 2002 წლის ზაფხულში კლუბი აპირებს ორი გამოჩენილი ფეხბურთელის შეძენას. ესენია რომის „ლაციოს" კაპიტანი, მცველი ალესანდრო ნესტა და ჰოლანდიის ნაკრების თავდამსხმელი პატრიკ კლუივერტი, რომელიც „ბარსელონაში" თამაშობს.

## 28 ივლისს იწყება

გერმანიის 2001-2002 წლების ჩემპიონატი. მას, როგორც ჩანს, წინანდელთან შედარებით მეტი მაყურებელი დაესწრება. უკვე გაყიდულია 316 ათასი სეზონური აბონემენტი (შარშან ამ დროისათვის მათი რაოდენობა 297 ათასს შეადგენდა), რომელთა რაოდენობა კიდევ უფრო გაიზრდება.

საინტერესოა, რომ ყველაზე მეტი მაყურებელი ბუნდესლიგას 1997-98 წლების ჩემპიონატში ჰყავდა, როცა თითოეულ მატჩს საშუალოდ 31 ათასი მაყურებელი ესწრებოდა.

# «COPA AMERICA» – ფაქტები, თავგადასავლები, კურიოზები

„Copa America"-მ სპორტული პრესის ფართო კომენტარები გამოიწვია. საერთო აზრი ასეთია: არგენტინის ნაკრების გარეშე, სხვა გუნდების ექსპერიმენტული შემადგენლობით, ამ შეჯიბრებას, ცხადია, არ შეუძლია გამოავლინოს კონტინენტის უძლიერესი კოლექტივი.

ამ ტურნირზე ძალიან დაბალი აზრი გამოთქვა მიუნხენის „ბაიერნის" მენეჯერმა ული ჰიონესმა. მისი შეფასება, პირდაპირ ვთქვათ, საკმაოდ უხეშიც კი გამოდგა. საყვედურზე, რატომ არ გაანთავისუფლა „ბაიერნმა" „Copa America"-ზე სათამაშოდ ჯოვანე ელბერი და პერუელი კლაუდიო პისარო, ჰიონესმა ასე უპასუხა: „ეს ფეხბურთელები ამჟამად კლუბის განკარგულებაში არიან და აქვე დარჩებიან. უპასუხისმგებლობა იქნებოდა მათთვის სრულფასოვანი დასვენების უფლება წაგვერთვა იმ ტურნირისთვის, რომელიც თავისი ორგანიზაციის დონით არ აღემატება მულტფილმებს მიკი მაუსის შესახებ. ბრაზილიის ნაკრების ყველა წამყვანმა მოთამაშემ მასში მონაწილეობაზე უარი განაცხადა. მე მესმის ელბერისა, რომელსაც სურს მოიქცეს, როგორც ბრაზილიის მოქალაქე, მაგრამ ამიტომ ჩვენ რატომ უნდა დავზარალდეთ. მას ჩვენ ფულს ვუხდით, ჩვენთან ვარჯიშობს და ოსტატდება. რატომ უნდა გავუშვათ რაღაც საეჭვო შეჯიბრებაზე? დღევანდელი სახით Copa America ფეხბურთზე ფულის გაკეთების ცდაა და სხვა არაფერი".

კოლუმბიელი გულშემატკივრების დიდი აღშფოთება გამოიწვია არგენტინის ნაკრების უარმა ეთამაშა ამ შეჯიბრებაში. არგენტინელებს C ჯგუფში უნდა ეთამაშათ, ქ. მედელინში. და აი ამ სტადიონზე თითოეულ მატჩში გულშემატკივრები მოდიოდნენ „ალბისელესტას" შეურაცხმყოფელი ტრანსპარანტებით: „არგენტინელები უნამუსო პირუტყვები, ლაჩრები, თაღლითები და არამზადები არიან", არგენტინელებს ვაჟკაცობა არა აქვთ" „არგენტინელები ძაღლისშვილებია", თავიანთი დიდი უკმაყოფილება გამოთქვეს კოლუმბიელმა ხელისუფლებმაც. მათ მრავალი არგენტინელი ტურისტის ჩამოსვლის იმედი ჰქონდათ, ცნობილია, რომ არგენტინაში ცხოვრების დონე გაცილებით უფრო მაღალია, ვიდრე სამხრეთ ამერიკის ყველა სხვა ქვეყანაში. და აქ მდიდარი გულშემატკივარი ბევრია. ქ. მედელინის პრეფექტურამ გადაწყვიტა სასამართლოში უჩივლოს არგენტინის ფეხბურთის ფედერაციას მისთვის მიყენებული ზარალისათვის. დამნაშავედ ასახელებენ არგენტინის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტ ხულიო გრონდონას, მოითხოვენ არაერთ მილიონ ამერიკულ დოლარს.

არგეტინელებმა ასეთ პრეტენზიებს ირონიით უპასუხეს. სპორტულმა გაზეთმა „ოლემ" მოათავსა ფოტოგრაფია თავისი არქივიდან — პელე ტირის, ასეთი წარწერით: „არც ბრაზილიელებს უნდა . მიელოთ მონაწილეობა ამ შეჯიბრებაში. ყოველ შემთხვევაში, ჩვენ ყველა ნაკრები გავაფრთხილეთ, რომ შინ დარჩენა სჯობს".

ბევრს წერენ ბრაზილიელების გამოსვლაზე. უკვე პირველივე მატჩში მექსიკელების წინააღმდეგ „ტეტრაკამპიონებმა" სრულიად ულიმღამოდ ითამაშეს. სკოლარიმ მატჩის შემდეგ პრესკონფერენციაზე განაცხადა: „მე არ ვიცი, რას აკეთებდნენ ჩვენი თავდამსხმელები: მათ შესვენებამდე 6 საგოლე მომენტი ჰქონდათ და ერთიც ვერ გამოიყენეს. ასე თამაში როგორ შეიძლება: ხან ქარდელი ვერ იყენებს უაღრესად ხელსაყრელ სიტუაციას, ხან კრისი, ხან როკე ჟუნიორი აგვიანებს დარტყმას. რაც შეეხება მექსიკას, მისი მოთამაშეები კარგად ფლობდნენ ბურთს, ფართოდ თამაშობდნენ და დამსახურებულად მოიგეს". რამდენადმე უკეთ გამოიყურებოდნენ ბრაზილიელები მეორე მატჩში პერუსთან (2-0), თუმცა უკვე დაიწყო ლაპარაკი იმის შესახებ, რომ სკოლარი მთავარი მწვრთნელის პოსტზე არ უნდა მიეწვიათ... იხსენებენ ისტორიულ მაგალითებს: სკოლარი გახდა მეორე მწვრთნელი ბრაზილიის ფეხბურთის ისტორიაში, რომლის ხელმძღვანელობითაც ნაკრებმა ზედიზედ ორი მატჩი წააგო, პირველი — 1 ივლისს მონტევიდეოში ურუგვაელებთან. პირველი ასეთი მწვრთნელი იყო არო ალმეიდა რეგო, რომლის დროსაც 1921 წელს ბრაზილიელები ჯერ კოლუმბიელებთან დამარცხდნენ — 0-1, შემდეგ კი არგენტინელებთან — 1-2.

ერთმა ჟურნალისტმა სკოლარის შეკითხვა მისცა: შეუძლია კი მას ბრაზილიის ნაკრები გამოიყვანოს ღრმა კრიზისიდან?

— თქვენ ამას იმიტომ მეკითხებით, რომ გამაღიზიანოთ, — უპასუხა მწვრთნელმა, — ასეთი კითხვა, უბრალოდ, უაზროდ მიმაჩნია. მე საქმეს ხელი მოვკიდე და გავაგრძელებ მუშაობას.

რიო-დე-ჟანეიროს გაზეთ „ო, გლობოში" კომენტატორ ლუკა კფიური წერს: „ბრაზილია აგებს ყველა დონეზე: პირველი ნაკრებების, მეორე ნაკრებების, მესამე შემადგენლობების, აგრეთვე ახალგაზრდული ნაკრებების დონეზე. ერთი სიტყვით, ჩვენი ხვედრი დამარცხება გახდა".



ბრაზილიელები...

საინტერესო ამბები მოხდა პარაგვაელებთან მატჩში, სადაც თამაშის დამთავრებამდე რამდენიმე წუთით ადრე ანგარიში თანაბარი იყო: 1-1. 89-ე წუთზე ბრაზილიელმა მცველმა ბელეტიმ მეორე გოლი გაიტანა, ხოლო დამატებით წუთებში დენილსონმა კიდევ ერთი — 3-1. ამ მატჩში გააძევეს არა მარტო როკე ჟუნიორი, არამედ თვით მწვრთნელი ლუის ფელიპე სკოლარი და მისი თანაშემწე მურტოზა, რახან ისინი სისტემატურად არღვევდნენ დაწესებულ „ზონას". შემდეგ სკოლარი, რომელიც ვითომ გვირაბში დაიმალა, მაინც არაერთხელ გამოიჭირა სათადარიგოთა სკამისკენ და პოლიციელებსაც მისთვის ხელი არ შეუშლიათ.

მეოთხედფინალში ჰონდურასთან ბრაზილიელების წაგებას 0-2 ვერავინ ხსნის, სკოლარიმ კი თქვა, რომ მისი ფეხბურთელები ბავშვებივით თამაშობდნენ.

რა შეიძლება ითქვას იმ ნაკრებების შესახებ, რომლებმაც ნახევარფინალამდე მიაღწიეს?

კოლუმბიის ნაკრები ერთადერთია მონაწილეთა შორის, რომლის ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა უძლიერესი შემადგენლობის თავმოყრა. ამასთან, შედარებით სუსტ მეტოქეებთან, ვთქვათ, ვენესუელის გუნდთან, მინდორზე არ გამოსულან, დაისვენეს ისეთმა ოსტატებმა, როგორნიც არიან ხორხე ბერმუდესი, ფრედი რინკონი, ფაუსტინო ასპრილია, ვიქტორ ბონილია. კოლუმბიელებმა მათ გარეშეც საკმაოდ იოლად მოიგეს. იგივე გამეორდა ყველა მომდევნო მატჩზე და მასპინძლებმა გადამწყვეტი შეხვედრებისათვის საკმაო ძალა შემოინახეს.

ურუგვაის „სელესტას" 14-ჯერ აქვს მოგებული „Copa America". იმის მიუხედავად, რომ იგი ამ ტურნირში უძლიერესი შემადგენლობით არ თამაშობს, თავიდანვე ითვლებოდა, რომ თუ მთლად პირველ ადგილზე არ გამოვიდოდა, საკმაოდ შორს მაინც უნდა წასულიყო. რაც დადასტურდა თუნდაც „C" ჯგუფიდან მეოთხედფინალში გასვლით, შემდეგ კი ამ მატჩის მოგებითაც.

მექსიკელებმა, რომლებმაც პირველივე დღეს ბრაზილიელებზე სენსაციური გამარჯვება იზეიმეს (თუკი სენსაციური შეიძლება ეწოდოს დღევანდელ დღეს სკოლარის ნაკრებთან წარმატების მოპოვებას), შემდეგშიც წარმატებით ითამაშეს. ერთადერთი მატჩი მათ პერუელებთან წააგეს, თუმცა მექსიკელთა მწვრთნელ ხავიერ აგირეს სიტყვით, მის ნაკრებს ამ შეხვედრაში აშკარა უპირატესობა კი ჰქონდა, მაგრამ ვერაფერი გააწყო მეკარე ოსკარ იბანიესთან (რომელიც ყველა ბურთს იღებდა). სხვათა შორის ეს ის მეკარე იბანიესია, რომელიც თავის დროზე პერუს ნაკრებიდან გაძევებულიც კი იყო საწვრთნელ ბაზაზე ორგიების მოწყობისათვის. მექსიკელთა კარში კი გოლი ოლსენმა გაიტანა, რომელსაც პერუში, უბრალოდ, „გოლსენს" უწოდებენ.

რაც შეეხება ნახევარფინალში ჰონდურასის ნაკრების მოხვედრას, რომელიც კოლუმბიაში არგენტინელების ნაცვლად ჩავიდა და თანაც შეჯიბრება კოსტა-რიკასთან წაგებით (0-1) დაიწყო, ეს უკვე ნამდვილი სენსაციაა. ასეთ კარგად მომზადებულ გუნდს, რომელიც ბრაზილიის (თუნდაც ექსპერიმენტულ, თუნდაც კრიზისში მყოფ) ნაკრებს მოუგებდა, აქ არავინ ელოდა.

**ბიბი ბამრეკელი**

# „კასპაროვ–კრამნიკის მატჩი არალეგიტიმური იყო"

**იყო დრო, როცა ჭადრაკი რიგაში დიდი პოპულარობით სარგებლობდა. აქ ცხოვრობდა განთქმული დიდოსტატი არონ ნიმცოვიჩი, შემდეგ კი ლეგენდარული მიხეილ ტალი, მსოფლიოს მერვე ჩემპიონი, მისი მასწავლებელი ალექსანდრ კობლენცი, ცნობილი აივარ გიპსლისი. დღეს არც ერთი მათგანი ცოცხალი აღარ არის... ამას წინათ, რიგაში საცხოვრებლად დაბრუნდა მსოფლიოში სიძლიერით მეოთხე მოჭადრაკე ალექსეი შიროვი, მიხეილ ტალის ყოფილი მოწაფე და განაცხადა, რომ აქ ჭადრაკი არავის აინტერესებს.**

● *გცნობენ თუ არა რიგელები ქუჩაში?*

— ცნობით ვერა მცნობენ, თუმცა ჩემი გვარი არ დავიწყებიათ. გარკვეულ ინტერესს რიგის გაზეთებიც იჩენენ. სამწუხაროდ, რიგაში საჭადრაკო ცხოვრება თითქმის სრულიად ჩაკვდა... ახალგაზრდობას პროფესიული ჭადრაკი უკვე აღარ აინტერესებს. ის, ვინც თამაშობს, მთელ მსოფლიოს მოედო. ისე რომ, მე მათ რიგაში ვერ ვხვდები.

● *თქვენი კონფლიქტი კასპაროვთან სულ უფრო ღრმავდება. ხომ არ ჯობდა შერიგებულიყავით, გეთქვათ, რომ ცხელ გულზე მიეცით ინტერვიუ კასპაროვ-კრამნიკის ლონდონური მატჩის გამო.*

— მე მინდა ვთქვა, რომ ჩემი სიტყვები კასპაროვმა არასწორად გაიგო. მე მას ეს ჯერ კიდევ ვეიკ-ან-ზეეს ტურნირის წინ ავუხსენი. მაგრამ, როცა გამოვიდა ვეიკ-ან-ზეეში ჩემთან სათამაშოდ და ხელი არ ჩამომართვა, ვიფიქრე, უხასიათოდ იმიტომ არის, რომ ჩემზე (იმ მომენტში) ნაკლები ქულა აქვს-მეთქი.



● *თქვენ ისე ლაპარაკობთ, თითქოს არ მიგინიშნებიათ თქვენს ინტერვიუებში, რომ კასპაროვ-კრამნიკის მატჩის შედეგი, შესაძლებელია, წინასწარ მოლაპარაკებულიც კი იყო.*

— რაიმე საჯარო ბრალდება მე არ წამომიყენებია. აი ვინ რას ხვდება, ეს უკვე სხვა საკითხია. ახლა კი მე გავიმეორებ, რაც ადრე ვთქვი: კასპაროვ-კრამნიკის მატჩი თავიდან ბოლომდე არალეგიტიმური იყო, არავითარი დამოკიდებულება მსოფლიო პირველობასთან არა ჰქონდა. მე ვამბობდი, რომ ყველასათვის კარგად არის ცნობილი მათი ახლო, მეგობრული ურთიერთობა. როცა ორი მეგობარი მოილაპარაკებს მატჩის შესახებ, რა დაძაბულობა უნდა ჰქონდეს მათ შეხვედრას. მე ძალიან დიდი ეჭვი შემეპარა, როცა 1997 წელს კრამნიკმა უარი თქვა ეთამაშა მსოფლიო ჩემპიონატზე „ნოკაუტ-სისტემით". მისი სიტყვით, ეს მან პრინციპული მოსაზრებით გააკეთა, უსამართლოდ მიიჩნია, რომ ანატოლი კარპოვი პირდაპირ სუპერფინალში დაუშვეს. ეს პრინციპულობა არც ისე ბუნებრივი მოჩანდა. მე ვეჭვობდი, რომ კასპაროვმა კრამნიკს სხვა რაღაც უფრო საინტერესო შესთავაზა, ვიდრე ეს „ნოკაუტ-სისტემის" შეჯიბრებაში ნერვების აშლა იყო. მოვლენათა შემდგომმა მსვლელობამ ჩემი ვარაუდი დაადასტურა კიდეც: მე კასორლაში (ესპანეთი) კრამნიკი პრეტენდენტთა ფინალურ მატჩში დავამარცხე და კასპაროვთან თამაშის უფლება მოვიპოვე. აი აქ კი პრობლემები შეიქმნა. ალბათ, იმიტომ, რომ ჩემმა მოგებამ ვიღაცის გეგმები დაარღვია. ახლა შეიძლება ლოგიკური სქემის შედგენა. შეიძლება ყოველივე ეს ჩემი ეჭვებია და არა საჯარო გამტყუნება კასპაროვისა და კრამნიკის მოლაპარაკებაში. მაგრამ ის, რომ კასპაროვმა შეწყვიტა ჩემთან ყოველგვარი ურთიერთობა, რა თქმა უნდა, მთლიანად მის სინდისზე უნდა იყოს.

*სურათზე: ალექსანდრ შიროვი*

## რუსეთის პრეზიდენტის მიწვევით...

**რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმირ პუტინის მიწვევით ქვეყნის სხვადასხვა ქალაქში დიდ საგასტროლო ტურნეზე იმყოფებოდა მსოფლიოს ექსჩემპიონი, 64 წლის ბორის სპასკი (საფრანგეთი). მან არაერთი ერთდროული თამაშის სეანსი გამართა თავის მშობლიურ სანკტ-პეტერბურგში, შემდეგ მოსკოვში და გასტროლები ურალში დაამთავრა.**

## პორტოროჟში, ვიდმარის მემორიალზე

პორტოროჟში (სლოვენია) დამთავრდა გამოჩენილი იუგოსლაველი დიდოსტატ მილან ვიდმარის მემორიალი 10 ცნობილი მოჭადრაკის მონაწილეობით.

პირველ ადგილზე გავიდა საბჭოთა კავშირის ყოფილი ჩემპიონი, ლვოველი ალექსანდრ ბელიავსკი, რომელიც ახლა სლოვენიის სახელით გამოდის. მან 6,5 ქულა მოაგროვა და ნახევარი ქულით გაასწრო ყოფილ მინსკელს, დღეს ისრაელის ნაკრების ლიდერ ბორის გელფანდს. 5,5 ქულით მესამეა საერთაშორისო ოსტატი ანდრეი ვოლოკიტინი (უკრაინა).

## ბილის ტრადიციული

**ბილში (შვეიცარია) მიმდინარეობს მეტად ძლიერი შემადგენლობის ტრადიციული ტურნირი, რომელშიც მონაწილეობენ ბორის გელფანდი (ისრაელი), პეტრე სვიდლერი, ალექსანდრ გრიშჩუკი (ორივე — რუსეთი), ჟოელ ლოტიე (საფრანგეთი), 70 წლის ვიქტორ კორჩნოი (შვეიცარია)...**

**ორი ტურის შემდეგ ვეტერანმა მოიგო ორივე პარტია.**

# ფორმულა-1

## მთავარი კითხვა «ნიურბურგრინგის» გარშემო

წლევანდელი მსოფლიო ჩემპიონატი „გერმანიის გრან-პრიზე", რომელიც კვირას, „ჰოკენჰაიმრინგზე" ჩატარდება, ინტრიგა რბოლის დაწყებამდე წარმოიშვა, რის გამოც, მის გარშემო არაერთი კითხვაა, რაზეც ამთავითვე საეჭვოა, რომ ვინმემ გადაჭრით თქვას რაიმე. ამ კითხვათაგან მთავარი მაინც რბოლის ერთპიროვნული ლიდერის მიხაელ შუმახერის სტარტზე გამოსვლაა. როგორც „ლელოს" მკითხველებმა იციან, იტალიის ქ. მონცში საწვრთნელ გარბოლში სამგზის მსოფლიო ჩემპიონი ავარიაში მოჰყვა, უახლოეს სამედიცინო ცენტრში ნახევარსაათიანი გამოკვლევის შემდეგ, პაციენტი უვნებლად დაბრუნდა ბოქსში, მიუხედავად ამისა, მან ტესტ-გარბოლები შეწყვიტა. მისი მონაწილეობა „გერმანიის გრან-პრიზე" საეჭვო უნდა იყოს.



თუმცა, თუ გავითვალისწინებთ ამ დიდი მრბოლის ფენომენს, მისგან ყველაფერს უნდა ველოდეთ. წლეულს იგი შიშით უყურებდა სილვერსტოუნის (ინგლისი) ტრასას, სადაც იგი 1999 წლის 11 ივლისს მძიმედ დაშავდა და მისი თქმით ყველაზე საშინელი ავარია განიცადა ცხოვრებაში. ამ ტრავმის გახსენება, როგორც თვითონ აღნიშნავდა, ბადებდა ეჭვს მორიგი ავარიის შესახებ. მაგრამ „დიდი ბრიტანეთის" წლევანდელ „გრან-პრიმ" მისთვის მშვიდობიანად ჩაიარა და გამარჯვებულ მიკა ჰაკინენს (1:25.33,770) მხოლოდ 0.33,646 წამით ჩამორჩა და მეორე ადგილზე გავიდა, რითაც საგრძნობლად დაწინაურდა საერთო ჩათვლაში. ისე რომ...

მომავალი, „გერმანიის გრან-პრის" (6825 მ X45 307,125 კმ) შარშანდელი გამარჯვებული ბრაზილიელი რუბენს ბარიკელოა (ფერარი), 1:25,34,418 (215,341 კმ/საათში). პოულ-პოზიშნი კულტჰარდი (მაკლარენი) 1.45,697 (232,457 კმ/სთ). უსწრაფესი წრე განვლო ბარიკელომ – 1.44.300 (335,570 კმ/სთ).

# დიდი ჩოგბურთის ექო

## ქუჩაში ერთი ადამიანიც კი არ იყო

როგორც ხორვატმა ჩოგბურთელმა ივან ლიუბიჩიჩმა განაცხადა, უიმბლდონის ფინალური მატჩის დროს გორან ივანიშევიჩსა და პატრიკ რაფტერს შორის, ხორვატიის ქალაქებში ერთ ადამიანსაც კი ვერ ნახავდით. ყველანი, დიდიდან პატარამდე თავიანთ თანამემამულეს თანაუგრძნობდნენ.

— მე გაზეთებიდან ამოვჭერი ივანიშევიჩის სურათი. მას ხელში ძვირფასი ჯილდო უკავია. მისი გამარჯვება მხოლოდ ერთს ნიშნავს: თუკი რაიმეს მიღწევა ძალიან გინდა, შენი ოცნება აუცილებლად მაინც აგისრულდება, როცა გორანმა მიზანი შეისრულა, მთელი ხორვატია აღფრთოვანდა და სიხარულის ცრემლებს არავინ მალავდა.

## კუერტენის პოპულარობა უსაზღვროა

„როლან გაროსზე" სამი გამარჯვების შემდეგ, გუსტავო კუერტენის პოპულარობა ბრაზილიაში პირდაპირ უსაზღვრო გახდა. ახლა გამოუშვეს საფოსტო მარკა, სადაც, თვით კუერტენის გარდა, გამოსახულნი არიან მისი მწვრთნელი ლარი პასოსი და ეიფელის კოშკი. ამ მოვლენას მიეძღვნა კუერტენის პრესკონფერენცია. მან, სხვათა შორის, უიმბლდონზეც ილაპარაკა, სადაც, როგორც ცნობილია, მონაწილეობა არ მიუღია. ბრაზილიელმა განაცხადა, რომ გულთბილად მიულოცა გორან ივანიშევიჩს: „ფინალური მატჩის დროს მე მისი ქომაგი ვიყავი და ძალიან გამიხარდა, როცა გაიმარჯვა. მან სრულიად დაიმსახურა თავისი წარმატება".



გუსტავო კუერტენი

# მნიშვნელოვანი სპორტული გადაცემები



**27 ივლისი, პარასკევი**

***საქართველოს ტელევიზია. I არხი.*** ჩოგბურთი. ვაჟთა თბილისის საერთაშორისო ტურნირი (14.00, 15.10), ***ევრიკა.*** „მსოფლიო სპორტი" (10.45, 20.00), ***VII არხი.*** სპორტული ინფორმაცია (17.10), ***ESPN.*** ფეხბურთი. მსოფლიო თასი. მიმოხილვა (10.30), სპორტის სიახლენი (19.30, 22.30, 01.30, 05.30), ***EUROSPORT.*** ველორბოლა. „ტურ დე-ფრანსი" (11.30, 18.30, 22.30, 01.00), ცურვა. მსოფლიო პირველობა (13.15, 16.30, 21.00, 02.45), „ფორმულა-300". საერთაშორისო ჩემპიონატი (22.00), აერობიკა. მსოფლიო ჩემპიონატი (23.00), ***НТВ плюс футбол.*** „მსოფლიო ფეხბურთი" (14.15), „გავიხსენოთ განვლილი სეზონი". ჰოლანდიის ჩემპიონატი „აიაქსი" – „ფეიენოორდი" (14.45), საფრანგეთის „ლიდსი" – პსჟ (16.40), ესპანეთის „რეალი" – „მალაგა" (19.20), იტალიის „რომა" – „ინტერი" (21.40), ჩემპიონთა ლიგა 2000-2001. „არსენალი" – „ბავარია" (23.20). ***НТВ плюс спорт.*** საწყლოსნო სპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი (21.50, 22.50), წყალბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი (19.45), ტაილანდური კრივი (01.15).

**28 ივლისი, შაბათი**

***საქართველოს ტელევიზია. I არხი.*** ჩოგბურთი, ვაჟთა თბილისის საერთაშორისო ტურნირი (13.15, 15.15), ***VII არხი.*** რაგბი. სამი ერის პირველობა (20.00), ***РТР.*** საწყლოსნო სპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი (02.35), კალათბურთი. ნბა, ქალები (22.30, 04.30), ***EUROSPORT.*** საპლაჟო ფრენბურთი. მსოფლიო ტური (12.30), ცურვა. მსოფლიო პირველობა (13.00, 21.00, 03.15), ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა (16.00), ველორბოლა. „ტურ დე-ფრანსი" (19.00, 01.00) კრივი. საერთაშორისო შეჯიბრება (23.00), ***НТВ плюс футбол.*** „გავიხსენოთ განვლილი სეზონი: ესპანეთის ჩემპიონატი „რეალი" – „მალაგა" (13.15), იტალიის „რომა" – „ინტერი" (16.10, გერმანიის „ბორუსია" – „ბავარია" (18.25), ჩემპიონთა ლიგა 2000-2001. „ლიონი" – „სპარტაკი" (22,50), ***НТВ плюс спорт.*** საწყლოსნო სპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი (16.00), კალათბურთი. ნბა. მიმოხილვა (19.50).

**29 ივლისი, კვირა**

***საქართველოს ტელევიზია. I არხი.*** ჩოგბურთი. ვაჟთა თბილისის საერთაშორისო ტურნირი (12.35, 15.10),. ფეხბურთი. მსოფლიო ჩემპიონატის (20 წლამდე) შემაჯამებელი გადაცემა (22.25), ევრიკა. „მსოფლიო სპორტი" (23.30), ***ESPN.*** ცხენოსნობა. დაიჯესტი (10.00), ***EUROSPORT.*** ცურვა. მსოფლიო ჩემპიონატი (11.30, 14.00, 21.00), ველორბოლა. „ტურ დე-ფრანსი" (18.00), ***НТВ плюс футбол.*** „გავიხსენოთ განვლილი სეზონი" გერმანიის ჩემპიონატი „ბორუსია" – „ბავარია" (15.40, 20.25), ჩემპიონთა ლიგა 2000-2001. „დეპორტივო" – „მილანი" (17.25), საფრანგეთის ჩემპიონატის მიმოხილვა (19.45, 23.40), ***НТВ плюс спорт.*** საწყლოსნო სპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი (22.05, 23.05), კალათბურთი. ნბა. მიმოხილვა (17.45), ტაილანდური კრივი (01.30).





# კროსვორდი № 58

**თარაზულად:** 4. ქართველი გოლიათის, ჭიდაობაში ოლ. ჩემპიონის სახელი, 7. რუსეთის ნაკრების ერთ-ერთი მეტოქე ფეხბურთში ევროპის ჩემპიონატში შესარჩევ ჯგუფში, 9. საზომი ერთეული, რომელსაც სპორტშიც იყენებენ, 10. მძლეოსნობის იარაღი, 11. ფორმულა-1-ში ბელგიის „გრანპრის" ტრასის სახელი, 14. ცნობილი გერმანელი მწვრთნელი რეჰნაგელის სახელი, 16. გერმანელი ვეტერანი ფეხბურთელი 1974 წლის მს. ჩემპიონი, უთამაშია თბილისში, 18. რომის „ლაციოს" ესპანელი ლეგიონერი ფეხბურთელი (ახალშენაძენი).

**შვეულად:** 1. ქართველი საჭადრაკო ეტიუდისტი, 2. სასკოლო სპორტული ინვენტარი, 3. გადაწოდება, ანუ..., 5. „ბარსელონას" ბრაზილიელი ლეგიონერი ფეხბურთელი, 6. ქართველი მოჭადრაკე... მათნაძე, 8. წარსულში ცნობილი რუსი ფეხბურთელი, რომლის სახელობისაც დღეს მოსკოვის „ტორპედოს" სტადიონია, 9. რუსი ფეხბურთელი, თამაშობს ესპანეთის „სელტაში", 12. „მანჩესტერ იუნაიტედის" არგენტინელი ფეხბურთელი, 13. ალპინისტებისთვის კარგად ცნობილი მთიანეთი ალ. ციმბირში, 15. მძლეოსანთათვის სიგრძეზე ხტომის ადგილი, 18. ცნობილი ინგლისელი ფეხბურთელის ფერდინანდის სახელი.

## კროსვორდი №57 ● პასუხები:

**თარაზულად:** 7. კამერუნი, 8. აკოსტა, 9. ასპე, 11. ფიგუ, 12. „მეცი", 15. „ანცი", 16. ახუაშვილი, 18. ჩოგანი, 19. პატი. **შვეულად:** 1. ბაკურიანი, 2. სასწაული, 3. „ოკა", 4. სეული, 5. ჩუი, 6. ბიგანიშვილი, 10 ბერლინი, 13. ლახტი, 14. კოშტა, 17. ბა.

## საჭადრაკო ამოცანა

ოთარ მამულაშვილი





შამათი 2 სვლაში

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

თბილისი, 380008, 8. კოსტავას 14. ტელ. 99-56-14, 899 55 48 97. ინდექსი 66435 INDEX ● „ლელოს" კომპიუტერული ცენტრი: ხელმძღვანელი გურამ სიმონიშვილი. შემსრულებლები: მერი წოწორია, ნანი რამიშვილი. ინჟინერ-პროგრამისტი ირინე სიდამონიძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა


# კარატე-დო

საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაციის საინფორმაციო ფურცელი №9 (17) ივლისი, 2001 წელი


საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაცია ულოცავს თავის პრეზიდენტს სენსეი კახა ბასილიას დაბადების დღეს, ღირსების ორდენს, მედალს მხედრული მამაცობისთვის და უსურვებს, რომ იღბალი მუდამ მისი თანამგზავრი ყოფილიყოს ქვეყნისა და ერის კეთილდღეობის საქმეში.

*ფედერაციის პრეზიდიუმი*

### დაჯილდოვება

საქართველოს პრეზიდენტის

## განკარგულება

2001 წლის 13 ივლისი ქ. თბილისი

### კ. ბასილიას ღირსების ორდენით დაჯილდოვების შესახებ

საქართველოში ჭიდაობის განვითარებისა და პოპულარიზაციაში შეტანილი პირადი დიდი წვლილისათვის, ნაყოფიერი სპორტული, პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის იაპონიის აბსოლუტური ჩემპიონი და მსოფლიო ჩემპიონი, კარატე-დოს საქართველოს ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტი **კახა ბასილია** დაჯილდოვდეს ღირსების ორდენით.

*ე. შევარდნაძე*

მილოცვები მოვიდა პრაქტიკულად აღმოსავლეთ ევროპის ყველა ქვეყნიდან და მსოფლიოს მრავალი ათეული კუთხიდან. მსოფლიოს შოტოკან კარატე-დოს ფედერაციის პრეზიდენტმა ბეკიაბი კამეანაგიმ მოულოცა და წარმატებები უსურვა იმ საქმეში, რასაც კახა წლების განმავლობაში ერთგულად, უანგაროდ ემსახურება. კამეანაგიმ ასევე მიულოცა ღირსების ორდენი და მედალი მხედრული მამაცობისთვის.



# კახა ბასილია

საქართველოს კარატედოს ეროვნული, საქართველოს სტუდენტური და საქართველოს შოტოკან კარატედოს ფედერაციის პრეზიდენტს. მსოფლიოს შოტოკან კარატედოს ფედერაციის ტექნიკური კომიტეტის (შიხან კაის) და დირექტორატის წევრი. აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების კურატორი.

საქართველოს თავდაცვის მინისტრის კონსულტანტი, ღირსების ორდენის კავალერი, დაჯილდოვებულია მედლით სამხედრო მამაცობისთვის. მსოფლიოს აღმოსავლური ორთაბრძოლების აკადემიის აკადემიკოსი, კაზაკთა გენერალი.



მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატების არა ერთი გზის პრიზიორი, იაპონიის აბსოლუტური ჩემპიონი. საბჭოთა კავშირის ჩემპიონი, მსოფლიოს შოტოკან კარატედოს ფედერაციის მე-5 დანის მფლობელი და მსოფლიოს კარატედოს ფედერაციის მე-6 საპატიო დანის მფლობელი, რომელიც მიენიჭა 1996 წელს იაპონიის კარატე-დოს ფედერაციის მიერ აღმოსავლეთ ევროპაში კარატეს განვითარებასა და პოპულარიზაციაში შეტანილი უდიდესი ღვაწლისთვის.



## საქართველოს ტვირთს მხოლოდ ნამდვილი მამულიშვილი უმსუბუქებს



19 ივლისს სასტუმრო „თორში" პრესკომფერენცია გამართა საქართველოს კარატე-დოს ეროვნულმა ფედერაციამ. პრესკომფერენცია მიეძღვნა ამავე ფედერაციის პრეზიდენტის კახა ბასილიას ღირსების ორდენით და მხედრული მამაცობის მედალით დაჯილდოვებას, რომელიც საქართველოს პრეზიდენტმა, ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ დააჯილდოვა. გარდა ამისა, საპატიო და ღირსების ორდენით დააჯილდოვა. საქართველოს კაზაკთა საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდის პრეზიდენტმა პეტრე პეტკაჩოვმა.

პრესკონფერენციაზე პეტრე პეტკაჩოვმა მიულოცა ეს უდიდესი ორდენები და უამრავი წარმატება უსურვა კახა ბასილიას. გარდა ამისა გაიხსენა ის უანგარო შრომა საქართველოსთვის, რომელსაც კახა ეწევა წლების განმავლობაში. აქვე არა ერთი თბილი და საინტერესო ამბები გაიხსენა ბატონმა პეტრემ, რომელიც კახას მოღვაწეობას ეხება.

დაჯილდოვების შემდეგ პატარა წვეულება გაიმართა, რომელმაც საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაციის გენერალური მდივნის, თემურ რამიშვილის სიტყვები ცხადჰყო - „კახა ის ადამიანია, რომელიც თავდაუზოგავად, უანგაროდ შრომობს ჩვენი ქვეყნისთვის. აქვე ხაზი მინდა გავუსვა ერთ გარემოებას - კახას ზეიმი, ბედნიერება, თუ სიხარული ყველა ჩვენთაგანის, მისი თანამოაზრეებისა და თანამშრომლებისთვისაც იგივეა. იგი არის ადამიანი, რომელიც სხვებსაც უადვილებს, ულამაზებს, უმსუბუქებს ცხოვრებას და მის მძიმე ტვირთს. ამასთან ერთად კახა თავის მშობლიურ ქვეყანას ბურჯად დაუდგა და ყველანაირად ცდილობს მისთვის გასაჭირისა და ტვირთის შემსუბუქებას, ეს კი მხოლოდ ნამდვილ მამულიშვილს შეუძლია. ვულოცავთ კიდევ ერთხელ, ყველა სპორტსმენის, კარატეში მოღვაწისა და ჩვენი ფედერაციის სახელით ამ დიდ ჯილდოებს და, რა თქმა უნდა დაბადების დღეს" - განაცხადა თემურ რამიშვილმა.

საქართველოს პრეზიდენტის

## განკარგულება

2001 წლის 13 ივლისი ქ. თბილისი

### საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მედლებით დაჯილდოვების შესახებ

ქართული არმიის აღმშენებლობაში შეტანილი პირადი წვლილისათვის, მხედრული ვალის მოხდისა და უმწიკვლო სამსახურისათვის საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ დაჯილდოვდა მედლით მხედრული მამაცობისთვის **კახა ბასილია.**

ე. შევარდნაძე

# ჩვენს თანამოღვაწეს ბატონ კახა ბასილიას

საქართველოს მოქალაქეთა კავშირის წევრს, საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტს, დიდ პიროვნებას, მოქალაქეს, სულით და გულით გილოცავთ დაბადების დღეს, ღირსების ორდენს და მედალს მხედრული მამაცობისთვის, გისურვებთ უშრეტ ენერგიას საქართველოს საკეთილდღეოდ.

*საქართველოს მოქალაქეთა*
*კავშირის გენერალური*
*მდივანი ედვარდ სურმანიძე*

# საქართველოს კაზაკთა კავშირის საპატიო გენერალს კახა ბასილიას

ძვირფასო კახა!

მიიღეთ თქვენი დაბადების· დღის გულწრფელი მილოცვა საქართველო მრავალათასიანი კაზაკების სახელით, რომლის საპატიო გენერალიც თქვენ ბრძანდებით.

დაუფასებელია თქვენი წვლილი საქართველოს სპორტის, კერძოდ მძლეოსნობის ყველა სახეობის განვითარების, მოზარდი თაობის აღზრდისა და ახალგაზრდობის ქვეყნის შეიარაღებულ ძალებში სამსახურისათვის მომზადების საქმეში. თქვნ აქტიურად მონაწილეობთ საქველმოქმედო საქმიანობაში, არაერთხელ მოგინახულებიათ საქართველოს კაზაკთა საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდის წევრებთან ერთად კოჯრის ბავშვთა სახლში, ზემო ავჭალის კოლონია...

ნება მოგვეცით, ამ საზეიმო დღეს, კიდევ ერთხელ მოგილოცოთ თქვენი იუბილე, ღირსების ორდენი, მედალი მხედრული მამაცობისთვის და ყოველგვარი სიკეთე გისურვოთ - მორალური, მატერიალური... გისურვებთ ჯანმრთელობას, ბედნიერებას და ოჯახურ კეთილდღეობას.

*გულწრფელი პატივისცემით:*
*საქართველოს კაზაკთა კავშირის*
*უმაღლესი ატამანი*
*ვასილ კადენეცი,*
*საქართველოს კაზაკთა საერთაშორისო საქველმოქმედო*
*ფონდის პრეზიდენტი*
*პეტრე პეტკაჩოვი*

# საქართველოს თავდაცვის მინისტრის კონსულტანტს ბატონ კახა ბასილიას



ბატონო კახა!

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს პირადი შემადგენლობისა და ჩემი სახელით გულითადად გილოცავთ დაბადების დღეს, ღირსების ორდენს და მედალს მხედრული მამაცობისთვის. გისურვებთ წარმატებებს სამსახურებრივ საქმიანობასა და პირად ცხოვრებაში.

თქვენ, როგორც მსოფლიოს შოტოკან კარარტე-დოს ფედერაციის დირექტორატისა და ტექნიკური კომიტეტის წევრს, საქართველოს შოტოკან კარატე-დოს ფედერაციის პრეზიდენტს, აგრეთვე მსოფლიოს სამხედრო ორთაბრძოლების აკადემიის აკადემიკოსს, იაპონიის აბსოლუტურ ჩემპიონსა და მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების მრავალი პრიზის მფლობელს, მთელი სისრულითა გაქვთ გათვითცნობიერებული, რომ თითოეული ჯარისკაცის მორალურ-ფსიქოლოგიური მდგომარეობის უზრუნველსაყოფად რაოდენ მნიშვნელოვანია ქართულ ჯარში კარატე-დოს დანერგვა, ამიტომ შესაშური ენთუზიაზმით უანგაროდ ემსახურებით ეროვნული არმიის აღმშენებლობის მეტად საპატიო და საპასუხისმგებლო საქმეს და ღირსეული წვლილი შეგაქვთ მის შემდგომ წარმატებაში.

გვწამს, რომ თქვენი მაღალი პროფესიონალიზმი, უდიდესი სპორტული გამოცდილება, ახალგაზრდული ენერგია და შრომისმოყვარეობა მომავალშიც დიდად წაადგება საქართველოს შეიარაღებულ ძალებს.

კიდევ ერთხელ სულითა და გულით გილოცავთ დაბადების დღეს. გისურვებთ ჯანმრთელობას, **ოჯახურ ბედნიერებასა და ახალ-ახალ გამარჯვებებს ჩვენი ერისა და ქვეყნის საკეთილდღეოდ.**

*პატივისცემით,*
*საქართველოს თავდაცვის*
*მინისტრი გენერალ-ლეიტენანტი*
*დავით თევზაძე*
*19 ივლისი 2001 წელი*


Да хранит нас Господь
СКК РС 009
СОЮЗ КАЗАКОВ КАВКАЗА
ПАТЕНТ
на офицерское казачье звание
Басилия
Кахе Омаровичу
присвоен чин
казачьего генерал-майора
с правом ношения формы установленного образца с соответствующими данному чину знаками различия и зарегистрированного личного оружия
Атаман П. Неткачев
Данный Патент является единственным документом, подтверждающим право на данное офицерское звание и служит основанием для получения соответствующего чину удостоверения
Регистрационный номер РС 009
Приказ №21 от 25.05.2001
Выдан 26.05.2001

**კავკასიის კაზაკთა კავშირი** — **СОЮЗ КАЗАКОВ КАВКАЗА**

*Заместителю Атамана*
*Союза казаков Кавказа,*
*Казачьему генерал-майору,*
*Чемпиону мира по карате-до*
*К. Басилия*

*Дорогой Каха Омарович!*

От имени коллектива Союза и от себя лично имею честь поздравить Вас с награждением ***ОРДЕНОМ ЧЕСТИ***.

Ваша неуёмная энергия, воля к победе, любовь к Родине, позволили достигнуть звездных высот в спорте. Вы с честью несете знамя грузинского спорта, отдаете все силы патриотическому воспитанию подрастающего поколения, его подготовке к служению своему народу.

Ваша теплота, отзывчивость, умение в нужную минуту протянуть руку помощи, снискали любовь и уважение друзей-единомышленников.

Сотни учеников и последователей – результат Вашего таланта организатора, кропотливого труда и любви к ближнему.

Огромен Ваш вклад в укрепление интернациональной дружбы между спортсменами мира.

В ознаменование десятилетия восстановления независимости Грузии и большой вклад в развитие патриотического движения казачества, борьбу за единую Грузию и мирный Кавказ ***Вы награждены казачьим орденом «ОРЕЛ КАВКАЗА»***.

В день Вашего рождения желаем Вам здоровья и дальнейших успехов на благо нашей Отчизны, на благо нашего патриотического движения

***Мы гордимся Вами!***

***Да хранит Вас Господь!***

С искренним уважением

Атаман Союза казаков Кавказа — П. Неткачев

**საუკეთესო კიმონოები საუკეთესო ფასებში**



საუკეთესო ხარისხის კარატეს კიმონოები ირანიდან, ყველაზე დაბალ ფასებში, ფართო ასორტიმენტით.

მსურველებმა დაწვრილებით ინფორმაციისთვის მიმართეთ საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაციის ცენტრალურ ოფისს.

**მისამართი: დიმიტრი უზნაძის ქუჩა №6. ტელ: 96-31-89.**

## საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაცია

საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაცია თავის წევრთა ინტერესებს წარმოადგენს საკანონმდებლო ორგანოებში და ხელისუფლებაში. სპორტის დეპარტამენტში, საქართველოს ოლიმპიურ კომიტეტსა და საერთაშორისო სპორტულ ორგანიზაციებში. ქმნის სექციებს, კლუბებს, ტრადიციული კარატე-დოს ცენტრებს, ეხმარება მათ ორგანიზაციულ მეთოდიკურ საქმიანობაში, არეგულირებს მათი მოღვაწეობის იურიდიულ მხარეს. ორგანიზებას უკეთებს სასწავლო-საატესტაციო სემინარებს სპორტსმენთათვის სათანადო საერთაშორისო სერთიფიკატების გაცემით. ახორციელებს ინსტრუქტორთა და მსაჯთა მომზადებასა და ლიცენზირებას საერთაშორისო ფედერაციებში მიღებული ფორმების მიხედვით. ატარებს შოუ-ფესტივალებს და სპორტულ დღესასწაულებს.

მათ ვინც დაინტერესდება ჩვენი ფედერაციის საქმიანობით გთხოვთ მოგვმართოთ შემდეგ მისამართზე:

**ქ. თბილისი, დიმიტრი უზნაძის ქ. №6. ტელ/ფაქსი: 96-31-89.**

**საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაციის ცენტრალური ოფისი**

空手道

**სტუდენტური სპორტი**

USFRG

**ყურადღება!**

**საქართველოს საუნივერსიტეტო სპორტის ფედერაციისა და საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაციის ხელშეწყობით გამოვიდა გაზეთი „სტუდენტური სპორტი". გაზეთი გამოდის თვეში ერთხელ.**

**მასში შეგიძლიათ წაიკითხოთ და გაიგოთ, როგორც სტუდენტური სპორტის, ისე მთლიანად სტუდენტების ცხოვრება-მოღვაწეობა.**

**ასევე დიდი სპორტის ახალი ამბები.**

*იკითხეთ გაზეთი „სტუდენტური სპორტი" – გაახალგაზრდავდით!*

**მომზადებულია საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაციის პრესცენტრის მიერ**